პროლეტარიანო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 26 (12538) | ხუთშაბათი, 31 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელთა ინიციატივა, რომლებმაც იკისრეს ვალდებულება მნიშვნელოვნად გაადიდონ 1963 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, და მიიღეს მოწოდება — გაიშალოს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მარცვლის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის.**

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ურჩია მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, საწარმოო სამმართველოებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ფართოდ განიხილონ უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს მშრომელთა წერილი კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კრებებზე, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი ამ პატრიოტულ თაოსნობას.**

**სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ყუბანის სოფლის მშრომელთა პატრიოტულ წამოწყებას ფართოდ გამოეხმაურება ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი, და ეს იქნება საწინდარი იმისა, რომ წარმატებით განხორციელდეს საერთო პარტიული და საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანა — გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის მთელი რეზერვები, რათა ავიყვანოთ მარცვლის დამზადება ჩვენს ქვეყანაში 4 მილიარდ 200 მილიონ — 4 მილიარდ 500 მილიონ ფუთამდე, აგრეთვე მნიშვნელოვნად გავადიდოთ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტთა წარმოება და შესყიდვა.**

**სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა გაზეთების „პრავდის“, „იზვესტიის“, „სელსკაია ჟიზნის“, „ტრუდის“, „სოვეტსკაია როსიას“ რედაქციებს, აგრეთვე რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო გაზეთებს და საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების გაზეთებს ფართოდ გააშუქონ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა.**

**კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სპეციალისტთა მოწოდების შესახებ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი — გააჩაღონ საყოველთაო სახალხო შეჯიბრება 1963 წელს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების გადიდებისათვის**

# „დიდი ჰიმიის“ ნაბიჯები

**გუშინ,** დღის პირველ ნახევარში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. პ. მჟავანაძემ** და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ ამხ. **ბ. ა. ბეგიშვილმა** დაათვალიერეს რუსთავის კაპროლაქტამისა და სინთეზური ბოჯკოს საწარმოთა მშენებლობა.

• • •

**განსაკუთრებული** მნიშვნელობის ობიექტი! — ასეა აღიარებული რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობა.

კაპროლაქტამი ძირითადი ნედლეული იქნება ამკამად მშენებლობაში მყოფი სინთეზური ბოჯკოს ქარხნისათვის. მის მისაღებად საჭიროა მეტად რთული ქიმიური კომპონენტები. კერძოდ: ამიაკი, აზოტი, წყალბადი, ფენოლი, ოლეუმი და გიდროქსილამინსულფატი. ამათგან მხოლოდ ორი სახე — ფენოლი და ოლეუმი შემოზიდულ იქნება გროზნოს ქარხნიდან, ხოლო დანარჩენი პროდუქცია თვით ადგილზე იქნება მიღებული.

ის გიპასუხებთ:

კაპროლაქტამისაგან სინთეზური ბოჯკოს ქარხანაში მიიღება მრავალი სხვადასხვა სახის ქიმიური პროდუქცია, რომლებსაც უდიდესი გამოყენება აქვს სახალხო მეურნეობაში. ყველაზე ძირითადია კაპრონის ძაფი, რომლისაგანაც საბოლოოდ დამზადდება კაპრონის ძვირფასი ქურქი, წინდები, ხალათები, სხვა სამოსი. უფრო მეტიც: კორდი, რომელსაც მასიურად გამოიშვებს ქარხანა და რომლის ძირითადი ნედლეული კაპროლაქტამი იქნება, შეცვლის შალს, ბამბას, აბრეშუმს...

და აი ჩვენ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე ვართ. ის, ვინც აქ სამოთხეი თვის შემდეგ აღარ ყოფილა, სრულიად სხვა სურათს დაინახავს. მაშინ დაუმთავრებელ კორპუსებს უკვე დასრულებული სახე აქვს, მიმდინარეობს გზებისა და ეზოების კეთილმოწყობა, სამონტაჟო სამუშაოები. საწარმოს ვრცელ ტერიტორიაზე შემოქმედებითი შრომის ფეიერფლია. და ეს გასაგებიცაა. კაპროლაქტამის წარმოების პირველი რიგი საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს წელს, პირველ კვარტალში.

მშენებლობაზე აუცილებლად შეხვდებით აზოტოვანი სასუქების ქარხნის დირექტორის მოადგილეს კაპტალური მშენებლობის დარგში ბ. მესხს. როგორც დამკვეთს და ქიმმრეწველმენის სამმართველოს უფროსს კ. უალებას, როგორც ძირითადი მშენებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელს

მშენებლობის საქმეში არსებულ ყოველგვარ საიდუმლოებას მათთან საუბარში გაიგებთ. პირველი მათგანი მშენებლების მისამართით გამოთქვამს კრიტიკულ შენიშვნებს, ხოლო მეორე — დამკვეთთა მისამართით. ეს ცეცი როდია. საქმიანი კამათია და ერთიანი ძალით კეთდება მეტად მნიშვნელოვანი საქმე, ჩქარდება მშენებლობის ტემპი.

როგორც დამკვეთმა ბ. მესხმა გვითხრა, კაპროლაქტამის მშენებლობა დაიწყო 1961 წელს. აქ კაპროლაქტამის გარდა გამოძვებულ იქნება აგრეთვე მეტად დიდი რაოდენობის ძვირფასი მინერალური სასუქი — ეკრეთწოდებული ამონიუმის სულფატი.

ქარხანაში ამას წინათ შეიქმნა კაპროლაქტამის წარმოების მიმღები სახელმწიფო კომისია. ამ კომისიამ უკვე მიიღო პირველი ობიექტი — ფენოლის საწყობი.

სახელმწიფო კომისიამ მიიღო აგრეთვე ნახევარპროდუქტების საწყობი.

ჩასაბარებლად უკვე მზად არის ციკლოგექსანონის, ციკლოგექსანონის და რექტიფიკაციის კორპუსები. რაც შეეხება ძირითადი ნედლეულ-კაპროლაქტამის საამქროებს, ყველა ისინი დამთავრების პროცესშია. ამონტაჟებენ მოწყობილობას. აქ ვარაუდობენ, რომ მარტში უკვე დაიწყება მათი გამოცდა.

უკვე დადებითად არის გადაწყვეტილი ელექტროენერგიით, წყლით და ორთქლით მომარაგების საკითხები. აგებულია და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ძლიერი ელექტროსადგური. ორთქლით უზრუნველყოფისათვის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალში დამონტაჟდა მძლავრი ქვაბები. მტკვარზე დაიდგა სპეციალური საქაჩავები, რომლებიც მთლიანად მოამარაგებენ წარმოებას წყლით.

ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება მიექცეულია გოგირდის გადამამუშავებელ საამქროზე და ეს მართლაც პირველი რიგის საზრუნავია. აქ, ამ საამქროში უნდა მოხდეს მომავალი კაპროლაქტამის მეორე ძირითადი შემადგენელის — გიდროქსილამინსულფატის მიღება. ასევე სწრაფ დამთავრებას მოითხოვს კაპროლაქტამნელღლეულის, მზა პროდუქციის და სულფატამონიუმის საამქროები.

რა მდგომარეობაშია დანადგარებისა და მოწყობილობების მონტაჟი?

ამ კითხვაზე მშენებლობის ხელმძღვანელებმა გვიპასუხეს:

— პირველი რიგის ექსპლოატაციისათვის საჭირო დანადგარმოწყობილობები მთლიანად არის მიღებული და წარმატებითაც მიმდინარეობს მათი მონტაჟი. ყველაფერი ეს ისეა გათვალისწინებული, რომ პირველი კვარტალის ბოლოსათვის შეძლონ პროდუქციის მიღება.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# გავაჩაღოთ საყოველთაო სახალხო შეჯიბრება 1963 წელს მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის

## კრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობების მუშათა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა წერილი

## ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

ამ წერილით მოგმართავთ ახლა, როცა ჩვენი სამშობლო შევიდა დიადი შვიდწლედის მეხუთე წელიწადში. საბჭოთა ადამიანები თავიანთი გმირული შრომით ახორციელებენ კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პროგრამას, რომელიც სკკპ XXII ყრილობამ მიიღო. სასიხარულოა იმის დანახვა, თუ რა სწრაფად იცვლება ქალაქებისა და სოფლების სახე, სულ უფრო ლამაზი ხდება ცხოვრება. ყოველ ჩვენგანს მკაფიოდ აქვს შეგნებული, რომ ჩვენს მომავალს, ჩვენს სიმდიდრეს ქმნის მილიონების შრომა და მხოლოდ შრომა.

რაც უფრო მეტს მიეცემი ჩვენს ქვეყანას კვების პროდუქტებს და ნედლეულს — მრეწველობისათვის, მით უფრო ძლიერი გახდება სამშობლო, მით უფრო უკეთ და საამრად იცხოვრებენ საბჭოთა ადამიანები.

მშობლიური კომუნისტური პარტია მოგვიწოდებს უკვე მიმდინარე წელს ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ მკვეთრად გავადიდოთ მარცვლეულის წარმოება და დამზადება. მარცვლეულის შესყიდვის 1963 წლის სახელმწიფო გეგმა დამტკიცებულია ოთხი მილიარდი ფუთის ოდენობით. მაგრამ თუ უფრო სრულად გამოვიყენებთ ყოველი მეურნეობის რეზერვებს, შევძლებთ ავიღოთ უფრო მაღალი მიჯნა — სამშობლოს ბეღლებში შევინახოთ 4.200-4.500 მილიონი ფუთი პური. ეს საერთო პარტიული და საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანაა, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა დაგვისახა.

თვითეული კოლმეურნეობის და საბჭოთა მეურნეობის მოვალეობაა მთელი ძალღონე მოახმაროს ამ დიადი ამოცანის შესრულებას, დარაზმონ მთელი თავიანთი რეზერვები, გონივრულად გამოიყენონ ყოველი ჰექტარი მიწა, მკვეთრად გაადიდონ თავიანთი მინდვრების მოსავლიანობა.

გულდასმით აწონ-დაწონეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს მიწათმოქმედებამ გადაწყვიტეს თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის მეურნეობის განმტკიცებაში. ერთ წელიწადში მარცვლეულის წარმოება ჩვენში თითქმის ერთნახევარჯერ გადიდდება. სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფოს მიჰყიდიან 18,4 მილიონ ფუთ კარგი ხარისხის უუბანური მარცვალს. პურის დამზადება განვლილ წელთან შედარებით გაიზრდება 2,7 მილიონი ფუთით, ანუ 25 პროცენტით.

ჩვენ მტკიცე რწმენით ვკისრულობთ ამ დიდ ამოცანას. უსტ-ლაბინსკაიას საწარმოო სამმართველოს ყველა შესაძლებლობა აქვს ხელი შეიტანოს სამშობლოს ფონდში. ყველა კოლმეურნე და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მხურვალედ არიან აღფრთოვანებული იმ ამოცანების სიდიადით, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ დაუსახა სოფლის მეურნეობას. 29 კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელებსაც სამმართველო აერთიანებს, შეიარაღებული არიან მოწინავე ტექნიკით, აქვთ დიდი გამოცდილება, წარმართავენ უზარმაზარ მეურნეობას, აქვთ 256 ათასი ჰექტარი სახნავი, ბაყვთ 300 ათას სულზე მეტი ყველა სახეობის პირუტყვი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი წყაროა ნათეს ფართობთა სტრუქტურის სრულყოფა. სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადახვეს 11,7 ათასი ჰექტარი ბალახი, მკვეთრად შეამცირეს მცირემოსავლიანი კულტურების ნათესები. მათ ნაცვლად დაითესა მიწათმოქმედის ისეთი საიმედო მეგობრები, როგორიც არის საშემოდგომო ხორბალი, სიმინდი, ბარდა, შაქრის ჭარხალი. წელს ჩვენში მარცვლეული კულტურები სულ დაიკავებენ 156,4 ათას ჰექტარს, ანუ 19 ათასი ჰექტარით მეტს, ვიდრე შარშან. მარცლეული შეადგენს სახნავის 61 პროცენტს. ძირითადი მასივები გამოყოფილია ჩვენს პირობებში უაღრესად მოსავლიანი საშემოდგომო პურეულისათვის. საშემოდგომო პურეული დაითესა 115 ათას და მეტ ჰექტარ ფართობზე.

მარცვლეულის მეურნეობაში მთავარი რეზერვია მოსავლიანობის გადიდება. ჩვენ გადაგწყვიტეთ ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ წელს მოვიყვანოთ სულ ცოტა 200 ფუთი მარცვალი მთელი ნათესის თვითთულ ჰექტარზე.

სამარცვლე სიმინდი დაიკავებს 30 ათას ჰექტარს. 12 ათას ჰექტარზე მოვიყვანთ სთესელე სიმინდს. საწარმოო ნათესები შეადგენენ 18 ათას ჰექტარს, სადაც მოვიყვანთ საშუალოდ 45 ცენტნერ მარცვალს, აქედან ყოველ სამი ათას ჰექტარ ნათესში — 60 ცენტნერს, ხოლო ხუთი ათას ჰექტარ ნათესში — 50 ცენტნერ სიმინდის მარცვალს.

ბარდის ნათესებს შარშანდელთან შედარებით თითქმის ერთიანურად გავადიდებთ, გავზრდით 5.400 ჰექტარამდე და ამ ნათესებში მოვიწევთ 25 ცენტნერ მარცვალს ჰექტარზე.

ჩვენ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ საფაბრიკო შაქრის ჭარხლის 28 ათას ჰექტარ ნათესში საშუალოდ ჰექტარზე მოვიყვანოთ 800 ცენტნერი ძირი. ჩვენი მეურნეობები აწარმოებენ მაღალი ზეთოვანი ჯიშის მზესუმზირას, რომელიც უხუცესმა სელექციონერმა ბ. ს. პუსტოვოიტმა გამოიყვანა. 16 ათას ჰექტარ ნათესში მოვიყვანთ 20 ცენტნერ ამ ძვირფას კულტურას ჰექტარზე.

უხვ მოსავალს ყუბანის მაღლიან მიწაზე თავისთავად როდი მიეცემა. უხვი მოსავალი რომ მოვიყვანოთ, ბევრი და ბეჯითად უნდა ვიშრომოთ. უწინარეს ყოვლისა უნდა აღმოვფხვრათ სიჩუქელე მოსავლიანობაში, როცა ერთსა და იმავე პირობებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურხეობებს პროდუქციის წარმოების სხვადასხვა დონე აქვთ. მაგალითისათვის დავასახელებთ კოლმეურნეობებს „უუბანსა“ და „გამარჯვებას“, სადაც დიდ ფართობებზე მოჰყავთ 38-39 ცენტნერი ხორბალი ჰექტარზე. ამავე დროს კოლმეურნეობებს „სამშობლოს“, „წითელ პარტიზანს“, კალინინის სახელობის კოლმეურნეობას მოჰყავთ მხოლოდ 23-25 ცენტნერი. ამრიგად ერთი და იგივე ბექტარი მოწინავე კოლმეურნეობებში იძლევა 14-15 ცენტნერით მეტ მარცვალს. ყველა მეურნეობა რომ მხარს უსწორებდეს მოწინავეებს, ისე წარმართავდეს საქმეს, როგორც, ვთქვათ, მაგალითად, კოლმეურნეობა „უუბანი“, მაშინ ჩვენი — უსტ-ლაბინსკაიას სამმართველო 3 მილიონ 600 ათასი ფუთით გაადიდებდა საშემოდგომო ხორბლის მთლიან მოსავალს. აი, ჩვენი რეზერვები!

გავაანალიზეთ რა გასული წლის შედეგები, ჩვენ დავრწმუნდით, რომ მარცვლის მთლიანი მოსავალი შეიძლებოდა გაცილებით უფრო მეტი ყოფილიყო. ბევრმა მეურნეობამ ვერ მოიყვანა სიმინდის უხვი მოსავალი. არახელსაყრელი ამინდის მოძიზებება გამართლება როდია. ამავე მიწაზე მოწინავეებმა ხომ მოიყვანეს უფრო მეტი მოსავალი? კოლმეურნეობა „უუბანის“ თეფდრე კოლენოვის რგოლმა 70 ჰექტარ ფართობზე 41,7 ცენტნერი მარცვალი მოიყვანა ჰექტარზე. სიმინდის უხვი მოსავალი მოიწიეს კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის ლ. ბოგაჩჩუკისა და ტიმირიაზევის სახელობის კოლმეურნეობის ლ. ჩინჩენკოს რგოლებმა. ასეთი მოსავალი ყველ სიმინდის ყანაში რომ მოგვეყვანა, სამმართველოს მეურნეობანი დამატებით მიიღებდნენ სამ მილიონ ფუთ სიმინდის მარცვალს.

ჩვენთვის, მიწათმოქმედთათვის, ახლანდელი გაზაფხული იქნება სერიოზული გამოცდა, უმნიშვნელოვანესი ეტაპი უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში. სოფლის მშრომელთა მთელი ღონისძიებანი მიმართულია იქითკენ, რომ სავსებით მომზადებული შეხვდნენ და ორგანიზებულად განახორციელონ თესვა. ყოველ მეურნეობაში ახლა ადგენენ სამუშაო გეგმებს, ამუშავებენ აგროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსს, რაც მინდვრების კონკრეტულ პირობებსა და ჩვენს თავისებურებებს შეესაბამება. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კონტროლს მინდვრის სამუშაოთა ხარისხისადმი, მთელი ტექნიკის მწარმოებლურ გამოყენებას. მექანიზატორები ისახავენ ამოცანას ფართოდ გამოიყენონ მანქანების დაგრეგატება, იმუშაოს გადიდებული სიჩქარით. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, გავათავისუფლოთ სხვა სამუშაოებისათვის 340 ტრაქტორი.

ახლა, ისევე როგორც წინა წლებში, გადაჭრით ვიბრძოლებთ ბაუბაროვნების წინააღმდეგ მიწის გამოყენებაში. ნათესების მოვლა-ლაბუშავებენ. ყოველ ყანას ჩვენში თავისი პატრონი ჰყავს. საოთხნი კულტურების მოვლა-მოყვანისათვის შექმნილია 83 მუქანიზებული ბრიგადა. ყუბანის ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოცდის ინსტიტუტის მერგოლურის ვ. პერვიცკის მაგალითით სიმინდს მოვიყვანთ ხელის შრომის გამოყენებულად 21 ათას ჰექტარ ფართობზე.

ჩვენი მრავალი წლის გამოცდილება გვასწავლის, რომ განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ თესლისათვის — მოსავლის ოქროს ფონდისათვის. თუ მეურნეობა თესავს არასულფასოვან თესლს, იგი კარგ შედეგებს ვერასოდეს ვერ მიიღებს. რომ ავიღეთ უფრო მაღალ საფეხურზე, გადავიდეთ წარმოების გაძღლის უმაღლეს კლასში, უნდა შევარჩიოთ საუკეთესო ხარისხის თესლი, ხორბლის, სიმინდის, მზესუმზირას, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების ისეთი პროდუქტიული ჯიშები, რომლებიც ყველაზე უხვ მოსავალს იძლევიან ადგილობრივ პირობებში. სწორედ ამიტომ ჩვენმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა თითქმის მთელ ფართობზე დათესეს შესანიშნავი გოლიათური ჯიშის საშემოდგომო ხორბალი „უფფო-1“, რომელიც ცნობილმა უუბანელმა სელექციონერმა, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პ. პ. ლუკიანენკომ გამოიყვანა. სიმინდის საწარმოო ნათესთა ნაკვეთებზე დავთესავთ უხვმოსავლიან ჰიბრიდებს „ვირ-42“ და „ვირ-156“.

ყოველმა მხვნელ-მთესველმა იცის, რომ კარგ მოსავალს ვერ მოიყვანს, თუ მოწინავე აგროტექნიკა არ გამოიყენა. ამიტომ ჩვენ ვაუჯობესებთ მიწის დამუშავების ხარისხს, გულდასმით ვუვლით ნათესებს. საშემოდგომო თავთავიანი კულტურები დათესილია მასივებზე, რომლებიც დამუშავებულია ნახევრადნეულის ტიპით, დიაგონალურ-ჯვარედინი წესით, თესლის გამოთესვის გადდებული ნორმით. შემოდგომაზე საშემოდგომო ხორბლის ნათესებში 50 ათას ჰექტარ ფართობზე შევიტანეთ მინერალური სასუქები. ზამთრის გამოდარებისას და აღრე გაზაფხულზე საშემოდგომო ხორბლის ნათესებს გამოვკვებავთ კიდევ 20 ათას ჰექტარ ფართობზე. მთელი საგაზაფხულო ხორბლის ნათესებისათვის მეურნეობებში მოხნულია აღრეული მაღალხარისხოვანი მრწილი. ის ნაკვეთებში, რომელთაც სიმინდი დაიკავებს, განხორციელდა წინასწარი ორჯერადი ათოვა ან ორმაგი ხვნა.

ხალხში ამბობენ: „მიწა მკვებავია, მაგრამ ისიც საჭმელს მოითხოვსო“. ჩვენ დიდი ხანია უკუთვალდეთ წინათ გავრცელებული წარმოდგენა, ყუბანის შავმიწა ნიადაგს სასუქები არ სჭირდებაო. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ყოველწლიურად ყანებში შეაქვთ სულ უფრო მეტი ნაკელი და კომპოსტები.

ჩვენს უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიგვაჩნია ფართო მასშტაბით განვახორციელოთ ადგილობრივი სასუქების წარმოება და სწორი გამოყენება. ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას, ყოველ კომპლექსურ ბრიგადას აქვს ამ მუშაობის კონკრეტული გეგმა. გასული წლის შემოდგომაზე სიმინდისა და შაქრის ჭარხლისათვის გამოყოფილ მასივებში უკვე შევიტანეთ 282 ათასი ტონა ნაკელი. მინდვრებში ვიყენებთ საკარხნო დამზადების ნაკელმბნევებს და სხვადასხვა სამარჯვებს, რომლებიც სოფლის დასელოვნებულმა ოსტატებმა შექმნეს.

ადგილობრივი სასუქების წარმოება განუწყვეტლივ იზრდება. იმ კოლმეურნეობებში, სადაც მაღალია მეცხოველეობის განვითარების ტემპი, სწრაფად იზრდება პირუტყვის სულადობა. უაღრესად მართალი იყო ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი, როცა თქვა: „ვისაც პირუტყვი ჰყავს, სასუქებიც იმას აქვს; ვისაც სასუქები აქვს, უხვი მოსავალიც მას მოჰყავს. მაშასადამე, ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ როგორც მემცენარეობა, ისევე მეცხოველეობაც, რადგანაც თუ მეცხოველეობა არ განვავითარეთ, სასუქები არ გვექნება, უნაკელოდ კი ვერ მოვიყვანთ უხვ მოსავალს“.

ეს ფორმულა მიწათმოქმედის სიბრძნე, ჩვენი მოქმედების პროგრამაა!

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის დამკვრელური უბანია მეცხოველეობის განვითარება. მარცვლის წარმოების გადიდების ამოცანას ორმა ვუსვამთ, ჩვენ მუდამ ვზრუნავთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ამ დიდმნიშვნელოვანი დარგისათვის. სოფლის მშრომელებმა კარგად იციან, რომ ჩვენს ღონისძიებებსა და ოსტატობაზე, ჩვენს უნარსა და თავდადებაზე დამოკიდებულია ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების შეუფერხებელი მომარაგება კვების პროდუქტებით.

ჩვენ გვყვანან ადამიანები, რომელთაც უნდა გავუსწოროთ მხარი, რომელთადაგანაც უნდა ავიღოთ მაგალითი. საბჭოთა მეურნეობა „ლადოუსკის“ მეცხოველეებმა საკუთარი საკვებით აწარმოეს 85 ცენტნერი ხორცი ნაკლავის წონით ყოველ ას ჰექტარ სახნავზე და 18 ცენტნერი — ას ჰექტარ სხვა სავარგულზე. ხორცის წარმოების პირველ მიჯნას მჭიდროდ დაუახლოვდნენ კრუშკაიას სახელობის კოლმეურნეობა, კოლმეურნეობანი „უუბანი“, „ლენინის ანდერძი“. მოწინავეთა წარმატებანი საზოგადოებრივი მეცხოველეობის ზრდის დიდ შეაძლებლობათა მკაფიო დადასტურებაა.

ჩვენ ვემყარებით მოწინავე გამოცდილებას და მიზნად დავისახეთ მივაღწიოთ მეცხოველეობის შემდგომ აღმავლობას. 1963 წელს უსტ-ლაბინსკაიას სამმართველოს კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი აწარმოებენ 60 ცენტნერ ხორცს ნაკლავის წონით ას ჰექტარ სახნავზე. ჩვენი მეურნეობანი მიიღებენ 245 ცენტნერ რძეს ას ჰექტარ მიწაზე.

სამმართველოს მეურნეობანი სახელმწიფოს მიჰყიდიან 19,2 ათას ტონა ხორცს — 2,6 ათასი ტონით მეტს, ვიდრე შარშან, 56,1 ათას ტონა რძეს —13 ათასი ტონით მეტს, ვიდრე შარშან; გავყიდით 32,5 მილიონ ცალ კვერცხს.

ყველა ჩვენს გაანგარიშებასა და გეგმას საფუძვლად უდევს წარმატების მტკიცე რწმენა. მათ განამტკიცებს ფერმების მშრომელთა კონკრეტული საქმეები. სამმართველოს მეურნეობებში არის 105 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, აქედან 37 ათასი ძროხა, 158 ათასი ღორი, 49 ათასი ცხვარი. წლის განმავლობაში გავასუქებთ და მივყიდით სახელმწიფოს 23 ათას სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს, 145 ათას ღორს, 1,3 მილიონ ფრთა ფრინველს. ჩვენ გულმხურვალედ ვუჭერთ მხარს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოწოდებას უკრაინის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირზე 1961 წლის დეკემბერში — გავასუქოთ და მივყიდოთ სახელმწიფოს ასი კილოგრამი წონის სულ ცოტა ერთი ღორი ყოველ ორ ჰექტარზე. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს მიმდინარე წელს გავასუქოთ ორი ღორი ყოველ სამ ჰექტარ სახნავზე. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გამოყოფილია სპეციალურ ჯგუფებსა და ფერმებში.

რომ გავადიდოთ წველადობა, ფერმებში ორგანიზებულია ძროხების დიფერენციული კვება, მათი პროდუქტიულობის გათვალისწინებით. ფართოდ ვიყენებთ პირუტყვის საკვებად სიმინდის სილოსსა და შაქრის ჭარხალს, ვაწარმოებთ უხეში საკვების მომზადებას პირუტყვისათვის ჩამორიგების წინ.

ჩვენი განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საკვები ბაზა. იქნება საკვები — იქნება პირუტყვი, იქნება ხორცი და რძე. ნათესი ფართობების სტრუქტურის გარდაქმნამ არსებითად გაადიდა საკვების წარმოება. მაგრამ საქმე მხოლოდ დაწყებულია. მთავარი საკვები კულტურა ისევ სიმინდია. მის ძირითად და განმეორებით ნათესებს გავადიდებთ 80 ათას ჰექტარამდე. პირუტყვის საკვებად გავაფართოებთ შაქრის ჭარხლის, სამარცვლე პარკოსნების ნათესებს.

აღრიცხული გვაქვს ყოველი ჰექტარი მიწა. უნარიანი, მზრუნველური გამოყენების პირობებში მას ხომ შეუძლია მოგვცეს ბევრი დამატებითი პროდუქცია? გადაწყვიტეთ საკვები კულტურების ნათესების ნაწილი — დაახლოებით 700 ჰექტარი — განვალაგოთ რკინიგზებისა და გზატკეცილების „გასხვისების“ ზოლებში, საკარმიდამო ფონდის თავისუფალ მიწაზე. საკვები მიზნებისათვის გათვალისწინებული გვაქვს სამარცვლე პარკოსანი და ბაღჩეული კულტურები დავთესოთ ახალგაზრდა ბაღების მწკრივთაშორისებში. გამოთვლილია, რომ ეს დამატებით მოგვცემს ათეულ ათასობით ცენტნერ საკვებ ერთეულს.

ჩვენი სამმართველოს მთელ რიგ მეურნეობათა მუშაობის გამოცდილება ცხადყოფს, რომ საკვები ბაზის განმტკიცების საქმეში ხერიოზული რეზერვია საკვები კულტურების განმეორებით თესვა.

ჩვენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ამ წყაროს 1963 წელსაც.

ჩვენი ღონისძიებებით დავისახეთ განვახორციელოთ საკვები მიზნებისათვის სამარცვლე პარკოსანი კულტურების, შაქრის ჭარხლისა და მთელი რიგი სხვა კულტურების თესვა აღრეულ ვადებში. მათი მოსავლის აღების შემდეგ კი ივნისის პირველ ნახევარში ამ ფართობებზე დავთესოთ სიმინდი საკვები მიზნებისათვის. საკვები კულტურების განმეორებით თესვას ვაწარმოებთ საშემოდგომო ქერის მოსავლის აღების შემდეგაც. განმეორებითი ნათესების ფართობი 1963 წელს სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეადგენს 45,7 ათას ჰექტარს.

ყოველი მეურნეობის ეკონომიკის განმტკიცებაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს შრომის ორგანიზაციას მინდვრებსა და ფერმებში, ბრძოლას პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. ჩვენ გადავწყვიტეთ 1963 წელს 9-10 პროცენტით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება მთელ სამმართველოში და მკვეთრად შევამცეროთ პროდუქციის თვითღირებულება. მეურნეობის გაძღლის ნაცვალი მეთოდია სამეურნეო ანგარიშიანობა, რომელიც უკვე დაინერგა 16 კოლმეურნეობაში, ახლა კი ვნერგავთ კიდევ 8 მეურნეობაში. ახლა ყველა კოლმეურნეობა ნერგავს გამომუშავებისა და ფასდების მეცნიერულად და ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს.

სამმართველოს მეურნეობებში ახლა წარმოებს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის შტატების გადასინჯვა. აღებულია აპარატის ზედმეტი რგოლების ყოველმხრივ შემცირების კურსი. კონტორებიდან და კანცელარიებიდან განთავისუფლდა და უშუალოდ წარმოებაში გაიგზავნა 540 კაცი, რაც წელიწადში 40 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა. ვახორციელებთ პატარ-პატარა საწარმოო ბრიგადებისა და ფერმების გამსხვილებას.

ჩვენს მეურნეობებში ზუსტად იცავენ მხვნელ-მთესველთა, მეცხოველეთა, მექანიზატორთა მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის მატერიალური დაინტერესების პრინციპს.

საუკეთესო შრომისათვის — გადდებული ანაზღაურება! ასეთია დევიზი კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა დამატებითი მატერიალური დასტიმულების სისტემისა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ. სიმინდისა და შაქრის ჭარხლის მოვლა-მოყვანის მექანიზებულ რგოლებში, აგრეთვე ბეღრ მეცხოველეობის ფერმაში ინერგება შრომის აკორდულ-პრემიული ანაზღაურება. ყოველივე ეს ხელს უწყობს სოფლის მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობის განვითარებას, მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას, კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

ჩვენში დიდი მუშაობა ხორციელდება კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისათვის მეცხოველეობაში, დანახარჯების შემცირებისათვის ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე. ჩვენ ვისახავთ კიდევ უფრო ფართოდ დავნერგოთ ისეთი პროგრესული მეთოდები, როგორიცაა ძროხების დაუბმელი მოვლა-შენახვა, ღორების დიდჯგუფური სუქება. მიმდინარე წელს ავაშენებთ 52 საწველ აგრეგატს, აშენ

# ავტომშენებელთა გაბედული ნაბიჯი

## ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა უარი თქვას დოტაციაზე, 1963 წელს მიიღოს რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“

**ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში გაიმართა პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან და ქარხნის პარტიულ კომიტეტთან ერთად. კრებამ მოისმინა ქარხნის დირექტორის შ. კიკნაძის მოხსენება 1962 წლის მუშაობის შედეგებისა და 1963 წლის საწარმოო გეგმის შესახებ. კრებამ აწონ-დაწონა ყველა რეზერვი და ერთსულოვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომ წარმოებამ მიმდინარე წელს უარი თქვას სახელმწიფო დოტაციაზე და მიიღოს რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“.**

**კრებამ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს მიმართა მოწოდებით ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება რენტაბელური მუშაობისათვის.**

### ავტოქარხნელთა ერთი ფიქრი, ერთი მისწრაფება

**საბჭოთა** მიწაზე მძლავრად მოთბიჯებს შვიდწლედის მეხუთე წელი... ყველგან, ჩვენი დიადი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში შემოქმედებითი შრომის სიხარულია.

საწარმოთა კოლექტივები აჯამებენ გაწეული მუშაობის შედეგებს. იკვლევენ სულ ახალ და ახალ რეზერვებს, სახავენ და კაფულენ წინსვლის გზებს, ახალი ძალით აჩაღებენ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებას და ბევრ შესანიშნავ თაოსნობას იჩენენ შვიდწლედის დავალებათა გადამდე შესრულებისათვის.

ასეა ახლა ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაშიც.

ქარხანული ავტომობილის მშენებლები იმ ერთი ფიქრით, ერთი მისწრაფებით ცხოვრობენ და შრომობენ, რომ განუხრელად განახორციელონ პარტიის XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებები.

ამის ნათელი დადასტურებაა ამ დღეებში აქ გამართული პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მოაწყო პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტთან და ქარხნის პარტიულ კომიტეტთან ერთად და რომელმაც (ესაწყო ავტომობილმშენებლთა ერთსულოვანი მზადყოფნა — ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ქარხნის კოლექტივმა, მისმა თვითეულმა საამქრომ, განყოფილებამ, უბანმა, ბრიგადამ, თვითეულმა მუშამ სასახელოდ შეასრულოს 1963 წლის — შვიდწლედის მეხუთე წლის გეგმები.

**ავტომობილმშენებლებმა გამოიჩინეს ძვირფასი თაოსნობა, რომ ახალი წლიდან უარი თქვან სახელმწიფოსაგან დოტაციის მიღებაზე. აღკვეთონ ზარალი, მიმდინარე წელს მიაღწიონ რენტაბელურ მუშაობას.**

ქარხნის მრავალათასიანი კოლექტივი განუხრელად სრულყოფს ავტომობილის რთული კვანძებისა და დეტალების დამუშავების ტექნოლოგიას, წარმატებით წყვეტს ახალი კონსტრუქციის ავტომობილების შექმნის, ტექნიკური პროგრესისა და ამ საფუძველზე საერთო საწარმოო აღმავლობის მიღწევის ამოცანებს.

შვიდწლედის განვლილ ოთხ წელიწადში ქარხანამ გადაჭარბებით შეასრულა როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა.

1962 წელს 1961 წლის ფაქტიურად მიღწეულ დონესთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 23 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციისა — 22,7 პროცენტით, ავტომობილებისა — 30,1 პროცენტით. ქარხნის კოლექტივმა წინა წელთან შედარებით 15,8 პროცენტით აამაღლა შრომის ნაყოფიერება, ხოლო 2 პროცენტით შეამცირა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება.

ქარხნის ცხოვრებაში წინ გადადგმული დიდი ნაბიჯები იყო ის, რომ შარშან მისი კოლექტივი გადავიდა „კაზ-606“ ტიპის ახალი სრულყოფილი ნიმუშის ავტოგამწე მანქანის „კოლხიდის“ სერიულ გამოშვებაზე და წარმატებით ითვისა ჭედადი თუჯის წარმოება.

ქუთაისელ ავტომობილმშენებლებს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პირველად ჩვენს ქვეყანაში აქ, ჭედადი თუჯის სამსხმელო საამქროში, დაამონტაჟეს და ამუშავეს ინდუქციური ელექტროღუმელები საწარმოს დენის სიხშირეზე.

ქარხნის შრომისმოყვარე კოლექტივს სხვაც ბევრი აქვს საამაყოდა სანაქებო. მაგრამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ეს ბევრ გულახდილად, პირუთვნელად გამოამზეურა გასული წლის საპეურნეო საქმიანობის ნაკლოვანებები და შეცდომები, კრიტიკული ანალიზი გაუკეთა გაწეული მუშაობის ყოველ მხარეს.

### ლაქები ჩვენი ქარხნის წარმატებათა ფონზე

**დასამალავი** რა-დია, რომ ქარხანამ თუმცა წინა წელთან შედარებით დიდი ნახტომი გააკეთა, მაინც ვერ უზრუნველყო 1962 წლის საწარმოო პროგრამის მთლიანად შესრულება. მართალია საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, მაგრამ ჩამორჩნენ სასაქონლო პროდუქციის და ავტომობილების გამოშვების დავალებათა შესრულებაში.

სამარცხვინოა, მაგრამ ფაქტია, რომ ავტომობილმშენებლებმა მხოლოდ 80,5 პროცენტით შეასრულეს სათადარიგო ნაწილების გამოშვების წლიური დავალება. კიდევ უფრო ცუდი სურათია სათადარიგო ნაწილების ნომენკლატურის მიხედვით გამოშვებაში. 214 დასახელებიდან დავალება შესრულებულია მხოლოდ 130 დასახელების ნაწილებზე.

არც მომხსენებელს, ქარხნის დირექტორს შ. კიკნაძეს, არც წარმოების საშუალო და უმაღლეს მეთაურებს, არც მუშებს თავიანთ გამოსვლებში გულგრილად არ აუვლიათ გვერდი უხეირო, უყაირათო მუშაობის ფაქტებისათვის, აქედან გამომდინარე შედეგებისათვის, რომლებიც შავ ლაქებად ჩანან კოლექტივის საერთო წარმატების ფონზე.

მარტო სათადარიგო ნაწილების გამოშვების გეგმის ჩაშლით ქარხანამ სახელმწიფო ბიუჯეტს დააკლო 440 ათასი მანეთი, ხოლო იმის გამო, რომ არ შესრულდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალება, გადახარჯვამ ნახევარ მილიონამდე მანეთი შეადგინა.

ავტოგამწე კაზ-606-ის გამოშვების გეგმის შესრულებას რამდენიმე ათეული ერთეული დააკლდა. ქარხანას ამ მანქანის ასათვისებლად წარმოება უნდა მოემზადებინა ჯერ კიდევ 1961 წელს, მაგრამ ეს საკითხი დაკავშირებული იყო რიგ სიძნელეებთან. კაბინის დასამზადებლად საჭირო იყო დიდი გამომჭიმავი ტვიფრების დაპროექტება და დამზადება, რაც ყველაზე ვიწრო ადგილია საავტომობილო მრეწველობაში. ყოველივე ამისათვის ქარხანას არ ჰყავდა სათანადო კადრები და არ ჰქონდა სათანადო დანადგარები.

ქარხნის ხელმძღვანელობამ დახმარებისათვის გორკის საავტომობილო ქარხანას მიმართა, რომელმაც უდიდესი დახმარება გაუწია და დაუმზადა ე. წ. „მასტერმოდელები“, მაგრამ ლითონის მოდელების დამზადებაზე უარი უთხრა. ქარხანა იძულებული გახდა შემოვლითი ტექნოლოგიით წასულიყო. გორკის ქარხანას პლასტმასის ტვიფრები დაამზადებინა.

პლასტმასის ტვიფრები ხშირად გამოდიან მწყობრიდან, ჩქარა გაცვდნენ და დაკარგეს სიზუსტე, რაც, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლენას ახდენდა დავალების შესრულებაზე. გარდა ამისა, ქარხანას არ გააჩნდა დიდი წნეხები. ბოლოს წარმოებამ შეიძინა ორი 1000 ტონიანი და ორიც 800 ტონიანი და სხვა უფრო მცირე წნეების წნეხები. კაბინის დამზადებისათვის წარმოებას არ გააჩნდა სათანადო საამქრო. ამჟამადაც ეს კორპუსი იმყოფება მშენებლობის პროცესში.

თვით ავტოგამწეს პირველ ხანებში ექსპლუატაციის პირობებში აღმოაჩნდა რიგი სერიოზული დეფექტები, როგორც კონსტრუქციული, ისე ტექნოლოგიური. ამ მდგომარეობის გამო წარმოება იძულებული გახდა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში შეეჩერებინა ამ მანქანის გამოშვება და ეწარმოებინა დეფექტების გამოსწორება.

პროდუქციის ხარისხისათვის ბრძოლა თანამედროვე პირობებში პირველი რიგის საკითხია საბჭოთა საწარმოებში, ეს საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ადმინისტრაციის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მუშების წინაშე.

1962 წელს ქარხანამ მომხმარებლებისაგან მიიღო 58 რეკლამაცია. აქედან 16 რეკლამაცია ავტოგამწე კაზ-606-ზე მოდის. წუნით დანაკარგებმა ამავე პერიოდში შეადგინა 445,4 ათასი მანეთი. ამ დანაკარგის 34 პროცენტი მოდის ისეთ საამქროებზე და ობიექტებზე, სადაც სრულებით არ იგებგმება წუნით დანაკარგები.

მართალია, წუნით გამოწვეული დანაკარგები 1962 წელს წინა წელთან შედარებით 12,9 პროცენტით შემცირდა, მაგრამ იგი მაინც რჩება ძალზე მაღალი და სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულებაში შეადგენს 1,3 პროცენტს.

ნაწრთობი დეტალების უბანზე — კბილანების შიგა ნახვრეტის ხეხვა არ სრულდება დადგენილი ტექნოლოგიით, სისუფთავე 2-ჯერ უფრო უხეშია, ვიდრე ეს ნახაზით არის გათვალისწინებული. წარმოებაში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მუშა, რომელიც მაღალი გამომუშავების მიღებისათვის არ იცავს ტექნოლოგიურ პროცესებს, იძლევა დაბალ ხარისხის პროდუქციას.

კარდანის უბანზე ხშირად იჩენენ ტექნოლოგია, ადგილი აქვს კარდანის აკრეფას ტექნიკური კონტროლის მიერ მიღებული დეტალებით. ოსტატები ხშირად თვით კარდანის ღერს ტექნიკური კონტროლის მიღებლადაც აგზავნიან მთავარ კონვეიერზე. ასეთ შემთხვევებს ადგილი აქვს სხვა დეტალებზედაც. ოსტატები თაუღმაძე, ჭუმბურიძე, ქანთარია უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან თავიანთ უბანზე პროდუქციის გამოშვებას, კონტროლიორების მითითებას არ აქცევენ ყურადღებას. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ კონტროლიორები დაბალი კვალიფიკაციისანი არიან და ხშირად ოსტატების გავლენის ქვეშ ექცევიან. ეს კი ზრდის წუნს.

როგორც კრებაზე ითქვა, ქარხნის მთავარი კონსტრუქტორი დ. ქართველიშვილი და მთავარი ტექნოლოგი რ. ქარცივაძე თანმიმდევრულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ საამქროთა ინსტრუმენტალური აღჭურვილობის წესრიგში მოსაყვანად, მანქანის ცალკეული კვანძების კონსტრუქციული და ტექნოლოგიური დეფექტების თავის დროზე გამოსასწორებლად.

ქარხანამ ვერ შეძლო დროულად მოემზადებინა წარმოება ახალი სახის პროდუქციის — ხუთი დასახელების ახალი მოდიფიკაციის სიჩქარეთა გადართვის კოლოფის და მათი კომპლექტაციისათვის საჭირო დეტალების ასათვისებლად და გამოსაშვებად. იმის გამო, რომ ქარხანამ ვერ უზრუნველყო მოდიფიცირებულ სიჩქარეთა კოლოფების რიტმული და მაღალხარისხოვანი გამოშვება, ამიტომ ეს პროდუქცია სათანადო რაოდენობით ვერ მიაწოდა მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხანას.

### ტექნიკური პროგრესი — ამოსავალი წერტილი

**კომუნიზმის** მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის მთავარი პოზიცია, ამოსავალი წერტილია ტექნიკური პროგრესი. ამ საქმის დაჩქარებას უნდა დაექვემდებაროს საამეურნეო, ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობა. სწორედ ამაზე გაამახვილეს ყურადღება თავიანთ გამოსვლებში ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ფანჩულიძემ, № 2 სამსხმელო საამქროს პარტბიუროს მდივანმა შ. მიქაუტაძემ, ჭედადი თუჯის საამქროს მეყალიბემ გ. ცხვიტაკამ და ავტომატების საამქროს ოსტატმა გ. მაღლაკელიძემ.

ქარხანაში სულ უფრო ფართოდ ინერგება ნაკადური წარმოება. საწნეხ-საძარე საამქროში მოეწყო კაბინების აწყობისა და შედუღების ნაკადური ხაზი, სიჩქარეთა კოლოფის საამქროში — მძლავრი კონვეიერი დეტალების გასარეცხად და გასაშრობად, საიარაღო-სატვიფრო საამქროში საექსპლოატაციოდ გადაეცა ხიდური ამწე.

ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფაში დიდია ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წელილი. მათ მიერ შემოტანილი 989 წინადადებების დანერგვით შარშან ქარხანამ 270.800 მანეთი წლიური ეკონომია მიიღო.

და მაინც ტექნიკური პროგრესის დარგში ჯერ კიდევ ბევრი „ვიწრო ადგილია“. ტექნოლოგიური პროცესების არც თუ ისე მცირე ნაწილი ხელით სრულდება. სიჩქარეთა კოლოფის საამქროს კბილანმჭრელ უბანზე ბევრი ჩარხი გაცვეთილია და ამის გამო საჭირო სიზუსტეს არ იძლევა, რასაც თან სდევს პროდუქციის ხარისხის გაუარესება.

ამავე უბანზე კბილანების შემომბრგვალება ავტომატურად უნდა ხდებოდეს, ფაქტიურად კი ეს ოპერაცია ხელით სრულდება.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მხარე განსაკუთრებით მიეიწყვეტელია № 2 საწნეხე საამქროში, სადაც კაბინის დამზადებაზე ხელით შრომის წილი 58 პროცენტს შეადგენს.

მიმდინარე წელს ავტომობილმშენებლები ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით ბევრი ტექნიკური სიახლისა და ღონისძიების განხორციელებას ითვალისწინებენ. მძიმე შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის № 1 საწნეხ საამქროში დაიდგმება მძლავრი ხიდური ამწე, იქვე განხორციელდება კაბინების ნახევრადავტომატური წესით შედუღება, ბენზინის აეროზისა და კარდანული ლილვის ფარის სპეციალური ტვიფრებით დატვიფრვა და სხვა ტექნიკური ღონისძიებები, რომელთა შედეგად საამქროში ხელით შრომა წელს ორჯერ შემცირდება.

ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ბევრი სამუშაოა გათვალისწინებული სამივე სამსხმელო საამქროში, აგრეთვე სიჩქარეთა კოლოფის, ძრავისა და სხვა ლითონდამამუშავებელ საამქროებში.

### რენტაბელობის საიმედო რეზერვები

**ქარხანა** მთელი თავისი არსებობის მანძილზე არარენტაბელურად მუშაობდა. მართალია, 1957 წლიდან შედარებით სახელმწიფოსაგან მიღებული დოტაციის თანხა გასული წლისათვის თითქმის ათჯერ შემცირდა, მაგრამ ქარხანამ მაინც ზარალით იმუშავა.

როგორც ყველა საწარმოში, ზარალიანობა აქ ძირითადად პროდუქციის გაძვირებამ გამოიწვია.

ქარხანამ პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებული 3,7 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 1,7 პროცენტით შეამცირა.

ქარხნის დირექტორის მოადგილემ, მთავარმა ეკონომისტმა გ. გაბიძაშვილმა და სხვებმა კონკრეტული ანალიზი გაუკეთეს საწარმოს ეკონომიურ მაჩვენებლებს, ილაპარაკეს ზარალის წარმომშობ მიზეზებზე, მის აღმოფხვრასა და რენტაბელობის გზებზე.

სასაქონლო პროდუქციის გეგმის შეუსრულებლობამ ზედნადები ხარჯები 243 ათასი მანეთით გაადიდა. ნომენკლატურის მიხედვით დავალების ჩაშლას მოჰყვა 67 ათასი მანეთის გადახარჯვა. არასაწარმოო ხარჯებმა 324 ათასი მანეთი შეადგინა.

განსაკუთრებით დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები.

**...ცალკე უნდა ალაპარაკოს საწარმოს კოლექტივს, საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, რაგორც მისი საქმიანობის ეფექტიანობის ეკონომიურ მაჩვენებელს. როგორ მუშაობს საწარმო — საზარალოა თუ მოგებას იძლევა, ფლანგავს საზოგადოებრივ საშუალებებს თუ ამრავლებს მათ — ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგების აღურიცხველად შეუძლებელია გამოვარკვიოთ, რა დონეზე დგას საწარმოს მეურნეობის გაძღოლა და როგორი წვლილი შეაქვს მას საერთო-სახალხო ფონდში.**

**ნ. ს. ხრუშჩოვი.**

**სურათზე:** ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება. ტრიბუნაზეა ქარხნის დირექტორი შ. კიკნაძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

ყოველივე ამის შედეგად ქარხანამ გასულ წელს მთლიანად 579 ათასი მანეთი იზარალა.

შეიძლება თუ არა ამ ზარალის თავიდან აცილება? დიახ, შეიძლება, ქარხანას საამისო ბევრი რეზერვი აქვს.

აი ისინიც:

საწარმოო გეგმების რიტმულად და ნომენკლატურის მიხედვით შესრულება, არასაწარმოო ხარჯების, წუნით გამოწვეული და სხვა დანაკარგების ლიკვიდაცია და, რაც ყველაზე მთავარია, შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება.

შარშან გეგმის შეუსრულებლობის მიზეზით 310 ათასი მანეთი გადაიხარჯა. თუ არ სრულდება გეგმა, არ შეიძლება მიღწეულ იქნას პროდუქციის თვითღირებულების სასურველი დონე.

წლევანდელი გეგმა კი; მთელი კოლექტივის საერთო აღიარებით, საკმაოდ რეალურია და, მაშასადამე, არის მისი შესრულების ყველა პირობა. ამაზე მეტყველებს თუნდაც იანვრის მუშაობის შედეგები. წარმოებამ თვის დავალება ძირითადი პროდუქციის ნომენკლატურის მიხედვით 29 იანვრისათვის გაანაღდა.

არასაწარმოო ხარჯები, რაც შარშან პროდუქციის დროულად მიუწოდებლობის, მომწოდებლებისათვის ფასის დროზე გადაუხდელობის, სახელმწიფო ბანკის სასესხოებლად სესხების თავის დროზე გაუნაღდებლობის, ვაგონების მოცდენის და სხვა მიზეზების გამო — ძირითადად ჯარიმების გადახდით შარშან წარმოებამ გაიღო, კარგი მუშაობით შეიძლება თავიდან ავიცილოთ და, როგორც წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, შეიძლება სულ მცირე 182 ათასი მანეთით მაინც შეეამცირონ. მთელი ეს თანხა უზარალოდ მუშაობის ნამდვილი რეზერვია.

წუნით გამოწვეული დანაკარგები შარშან 453 ათას მანეთს აღწევდა. ეს ძირითადად თუჯის წარმოების ათვისების სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამასთან დაბალი ხარისხის პროდუქციის გამოშვება საკონტროლო აპარატისათვის საჭირო ხელსაწყოების სიმცირითაც იყო გამოწვეული. ბევრს სცოდავდა ამ მხრივ ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილება.

**გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერების ამაღლება 14 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება 3,5 პროცენტით უზრუნველყოფს ქარხნის რენტაბელურ მუშაობას.**

გამომანგარიშებამ ცხადყო, რომ შარშანდელთან შედარებით წელს წუნის თუნდაც 30 პროცენტით შემცირება ქარხანას დიდ თანხებს დაუზოგავს და ეკონომიის რეზერვში ჩაყენებს სულ მცირე 136 ათას მანეთს. ამის მიღწევა კი სავსებით რეალური ამოცანაა.

ქარხანაში ჯერ კიდევ დიდია ენერგორესურსების დანაკარგები. ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსის ი. ვაჩაძის დაახლოებითი გაანგარიშებით შეკუმშული ჰაერის დანაკარგები სულ მცირე 15 პროცენტს შეადგენს. წელიწადში იკარგება 52 მილიონ კუბმეტრამდე ასეთი ჰაერი. ეს კი ცოტა როდია, ჰაერის დანაკარგი გადადის ფულის დანაკარგად, რაც 90 ათას მანეთს აღწევს. ცოტა როდია აგრეთვე მაზუთისა და წყლის დანაკარგი.

### ჩვენი გადაწყვეტილება

**ნარმოების** ისტორიაში, ჩვენ, ქუთაისელმა ავტომობილმშენებლებმა, წელს პირველად გადავწყვიტეთ უარი ვთქვათ სახელმწიფო დოტაციაზე, წარმოებამ უნდა იმუშაოს რენტაბელურად. სანამ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდით, ღრმა ანალიზი გავუკეთეთ გასული წლის მუშაობას, ვიანგარიშეთ ყველა საამქროსა და მთელი წარმოების ზარალი, დავაზუსტეთ მისი გამომწვევი მიზეზები და იმ დასკვნამდე მივედით, რომ თუ წარმოების ყველა რეზერვებს ავამოქმედებთ, მაქსიმალურად გამოვიყენებთ ტექნიკას, გავაუმჯობესებთ პროდუქციის ხარისხს, მინიმუმამდე დავიყვანთ წუნით გამოწვეულ ზარალს, — შეგვძლებთ 1963 წელს წარმოებამ იმუშაოს რენტაბელურად. აქედან გამომდინარე კრებამ გადაწყვიტა:

**1. 1963 წლის სახელმწიფო გეგმა შესრულებულ იქნას 25 დეკემბრისათვის;**

**2. გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ამაღლდეს 14 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება შემცირდეს 3,5 პროცენტით;**

**3. შრომის ნაყოფიერების გაზრდის მიზნით გადასინჯულ იქნას გამომუშავების არსებული ნორმები და მოკლე დროში საამქროებს მიეცეს ტექნიკურად დასაბუთებული ნორმები არანაკლებ 70 პროცენტისა;**

**4. პირველი მაისისათვის გამოშვებულ იქნას ახალი ტიპის ავტომანქანის კაზ-608 საცდელი ნიმუში;**

**5. დაზოგილ იქნას 1,5 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია;**

**6. შრომის მოწინავე მეთოდები შეისწავლოს 2.120 ახალგაზრდა მუშამ, კვალიფიკაცია აიმაღლოს 1.420 მუშამ და ინჟინერ-ტექნიკოსმა.**

**7. გასულ წელთან შედარებით წუნი შემცირებულ იქნას 30 პროცენტით, რითაც 136 ათასი მანეთი დაიზოგება;**

**8. შეკუმშული ჰაერის, წყლისა და მაზუთის დანაკარგების შემცირებით დაზოგილ იქნას სულ მცირე 100 ათასი მანეთი;**

**9. მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით პირველ მაისამდე საამქროებში დამთავრდეს აბანოების, გასახდელებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების რეკონსტრუქცია.**

ჩვენ მოვუწოდებთ რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივებს გამონახონ რეზერვები და ფართოდ გაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი მოგებისათვის.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების დავალებით: შ. კიკნაძე — ქარხნის დირექტორი, გ. კოგბალაძე — ქარხნის მთავარი ინჟინერი, ლ. ფანჩულიძე — პარტიული კომიტეტის მდივანი, ი. ბოგბოლაშვილი — პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე, დ. მოგლიავა — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ი. ხაზარაძე — რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, შ. ნიორაძე — ძრავის საამქროს უფროსი, ო. ბოზოლელიძე — № 2 სამსამსხმელო საამქროს უფროსი, ვ. მარდალეიშვილი — ზასის საამქროს უფროსი ოსტატი.






# სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მემკვიდრეობითობის მიმართული შეცვლის თეორიული საფუძვლები

აკადემიკოსი ზ. დ. ლისენკო

(დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 25.)

## არაცოცხლის ცოცხლად გადაქცევის კანონის შესახებ

**არაცოცხალი** ბუნების ნივთიერებებს რომ არ ჰქონდეთ პოტენციური თვისება შესაბამის კომბინაციებსა და პირობებში აუცილებლად გადაქცნენ ცოცხალ სხეულებად, მაშინ, ჯერ ერთი, ცოცხალი ვერ წარმოიშობოდა და, მეორე, ცოცხალი სხეულები ვერ განვითარდებოდნენ, სახეს ვერ იცვლიდნენ, სხვადასხვანაირი ვერ გახდებოდნენ. მატერიალისტური ბუნებისმეტყველების (ოდნავათა ერთობლიობა უდავოდ ამტკიცებს, რომ ცოცხალი შესაბამის პირობებში წარმოიშვა არაცოცხლიდან. ჩვენი მიჩურინული ბიოლოგიის მიერ შეძენილმა ცოდნამ მაგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ პირველად ცოცხლის წარმოშობის შემდეგ შესაბამის პირობებში არაცოცხლიდან ცოცხლმა შემდეგშიც, იმავე კანონებით, წარმოშობა იწყო არაცოცხლიდან, მაგრამ უკვე ცოცხლის მეშვეობით. ცოცხალი ქმნის მხოლოდ პირობებს არაცოცხლის ცოცხლად გადაქცევისათვის. ამიტომ არსებობს და მოქმედებს ყველაზე ზოგადი კანონი, რომლის მიხედვითაც არაცოცხალი ბუნება დაკავშირებულია ცოცხალთან, რომლის თანახმად ხდება არაცოცხალი მატერიის ცოცხლად გადაქცევის პოტენციური თვისების რეალიზაცია. მე არ შემიძლია ეს კანონი ბიოლოგიურ კანონებს მივაკუთვნო. ეფექრობ, რომ იგი ქიმიას უფრო განეკუთვნება. მაგრამ ეს ისეთი ქიმიური კანონია, რომლის თანახმად ქიმიური ელემენტები და მათი შენაერთები გადაქცევის გზით ხდებიან სიცოცხლისუნარიანი სხეულები, რომლებიც ცოცხლობენ, იზრდებიან და ვითარდებიან უკვე თვისებრივი სპეციფიკური ბიოლოგიური კანონებით.

ცნობილია, რომ ბიოლოგიური კანონები ქიმიური და ფიზიკური კანონები არ არის, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები ბიოლოგიური, ქიმიური ან ფიზიკური კანონები არ არის. ყველა უამრავი ქიმიური და ფიზიკური პროცესი ცოცხალ სხეულში მიმდინარეობს ქიმიური და ფიზიკური კანონების მიხედვით, რომლებიც მეცნიერებამ უკვე აღმოაჩინა ან ჯერ კიდევ არ აღმოუჩენია, მაგრამ ყველა ეს ფიზიოლოგიური პროცესი ექვემდებარება ცოცხალს, ექვემდებარება სიცოცხლის კანონებს, ესე იგი ბიოლოგიურ კანონებს.

ცოცხლის ფიზიკისა და ქიმიის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო მედიცინისა და სოფლის მეურნეობის პრაქტიკის მიზნებისათვის, არამედ ზოგიერიელი ბიოლოგიისთვისაც. თეორიაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ შეგიძლია კანონები არაცოცხლის ცოცხლად გადაქცევისა ცოცხლის მეშვეობით. ეს ის ქიმიური და ფიზიკური კანონია, რომელსაც ქიმიური პროცესები ქმიის ფარგლის გარეთ გაჰყავს. სწორედ ამიტომ მეტად დიდმნიშვნელოვანია სულ უფრო გაღრმავებულად შეგიისწავლიდეთ ცოცხლის ქიმიასა და ფიზიკას. მაგრამ მტკიცედ უნდა ვიცოდეთ, რომ ცოცხლის ქიმიისა და ფიზიკის ვერავითარი გაღრმავებული შესწავლა ვერ შეაცვლის ბიოლოგიურ შესწავლას, ბიოლოგიურ შეცნობას. ცოცხლის არავითარი ქიმიური და ფიზიკური შეცნობა არ იძლევა წარმოდგენას იმ ბიოლოგიურ კანონებზე, რომლებთანაც ცოცხლობს და ვითარდება ორგანული სამყარო. ცოცხლის ქიმიისა და ფიზიკის შესწავლა თუმცა მეტად დიდმნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი წინაპირობაა ბიოლოგიური კანონების მატერიალისტური შეცნობისა.

და, პირველი, ცოცხლის ქიმიისა და ფიზიკის ღრმად შესწავლის ერთ-ერთ უაღრესად დიდმნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ის კანონების ცოდნა, რომლებიც ჩვენმა მატერიალისტურმა ბიოლოგიამ აღმოაჩინა.

მეცნიერების ყველა დარგი, ისევე როგორც ბუნების ყველა მოვლენა, რომელთა შესწავლა მეცნიერების მიზანს წარმოადგენს, ურთიერთდაკავშირებულია. მაგრამ უნდა გვახსოვდეს — მეცნიერების მიზანია არა იმდენად ის, რომ პოულობდეს მსგავსებებს ბუნების მოვლენათა შორის, რამდენადაც ის, რომ პოულობდეს განსხვავებებს ეროთის მეორისაგან, თვით განსხვავებამდე — იგივეობამდე შიგნით, ერთი მოვლენის გაორებას მის ობიექტურ წინააღმდეგობრივ მხარეებად. მხოლოდ ასეთი შესწავლა იწვევს მოვლენათა არსის განსაზღვრას, ობიექტური კანონების აღმოჩენას.

ყოველ ორგანიზმს, ცოცხალს ყოველ ნაწილაკს ბიოლოგიური აზრით მოეპოვება სახეობითი თვისება. როგორც არაორგანულ ნივთიერ სამყაროში ყველაფერი ქიმიური ელემენტებისა და მათი შეერთებისაგან შედგება, ისე მთელი ორგანული სამყაროც შედგება ბიოლოგიურ სახეთაგან. ქვესახეობანი, ნაირსახეობანი, ჯიშები და ინდივიდუმები — ყოველივე ეს ბიოლოგიურ სახეთა არსებობის სხვადასხვა ფორმებია. **ბიოლოგიური სახე — ეს ცოცხლის განსაკუთრებული თვისებრივი მდგომარეობაა, ეს ორგანული სამყაროს ერთეულია.** ყოველი მიკრობული, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმი ბიოლოგიურად ამა თუ იმ ცალკეულ სახეს ეკუთვნის“.* ამიტომ **მთელი ორგანული სამყარო — მიკრობები, მცენარეები და ცხოველები — ცოცხლობს ერთიანი კანონით: ბიოლოგიური სახის ცოცხლის კანონით.** ეს კანონი იმაში მდგომარეობს, რომ ორგანიზმის მთელი სტრუქტურა, ყველა მისი ორგანო, მთელი ძრავალსახოვანი ფიზიოლოგიური პროცესები, — ორგანიზმისა და მისი სხეულის ყოველი ნაწილის ცოცხლე ასე თუ ისე მიმართულია გამოვლენისაკენ, იმ ბიოლოგიური სახის მასის გადიდებისაკენ, რომლის არსებობის ერთ-ერთი ფორმაა მოცემული ორგანიზმი, მოცემული ცოცხალი სხეული.

ბიოლოგიური სახის სიცოცხლის კანონი ყოველივე ცოცხლის საერთო კანონია. მისდამი დაქვემდებარებულია ყველა სხვა ბიოლოგიური კანონი, მაგალითად, მემკვიდრეობითობისა და მისი ცვალებადობის კანონები, დაქვემდებარებულია ცოცხალ სხეულში მიმდინარე ყველა ფიზიოლოგიური პროცესი. საერთოდ ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რომ გარემოს მოცემულ კონკრეტულ პირობებში დიდდებოდეს მოცემული კონკრეტული ბიოლოგიური სახის მასა. ბიოლოგიური სახის სიცოცხლის კანონის გაუთვალისწინებლად, მის უცოცხლესად სწორად ვერ გავიგებთ ეკოლოგიური და ცხოველური ფორმების შინაგან ცვალებადობას ამა თუ იმ თვისებებსა და ნიშნების მიხედვით მათთვის არადამახასიათებელ პირობებში და ვერც ამ ფორმების მიერ თავიანთი მემკვიდრეობითი თვისებების მდგრად გადაცემას მათთვის დამახასიათებელ პირობებში ეკონომიკურ ზრდისას.

ბიოლოგიურ სახეთა სიცოცხლის კანონი განაპირობებს იმ ფაქტების მთელ ერთობლიობას, რომლებიც მოწმობენ მცენარეულ, ცხოველური და მიკრობული ორგანიზმების წყობის ეგრეთწოდებულ მიზანშეწონილობას. მე ვამბობ — „ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობა“ იმიტომ, რომ ბუნებაში არ არის და არ შეიძლება იყოს არავითარი მიზანშეწონილობა. მიზანი დაკავშირებულია შეგნებასთან, ბუნებაში კი შეგნება არ არის. თვითეულისათვის ცხადია, რომ წყალი დაბა მიდის სრულიად უმიზნოდ, ნებისყოფის ან ამის გამოვლინების უქონლად. მხოლოდ მიზიდულობის კანონის მიხედვით. ყველაფერი ასე ხდება ბუნებაში, ორგანულშიც და არაორგანულშიც. ყველაფერი წარმოიშობა და ქრება თავისი სპეციფიკური კანონების თანახმად. ეს ელემენტარული ჭეშმარიტებანი საყოველთაოდ არის ცნობილი. და ბუნებისმეტყველების ყველა დარგში, რომლებიც არაცოცხალ ბუნებას ეხება, უკვე დიდი ხანია არ დგება საკითხი ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობის შესახებ.

ხოლო ბუნებისმეტყველების იმ დარგში, რომელიც ეხება ცოცხალ ბუნებას, ესე იგი ბიოლოგიაში, მიზანშეწონილი წყობის სალაპარაკო ყოველთვის იყო და არის. მიკრობული, მცენარეული და ცხოველური ბიოლოგიური სახეების სიცოცხლისა და განვითარების ცალმხრივად განხილვისას თვალში გეცემათ მათი წყობისა და ქცევის მიზანშეწონილობა. ამას მოწმობენ: ორგანიზმთა წყობა, მათი სხვადასხვა ფიზიოლოგიური პროცესები, ორგანიზმების ურთიერთკავშირი სახის შიგნით, ესე იგი თავის მსგავსებთან, ავრეთვე ურთიერთკავშირი არაცოცხალი და ცოცხალი ბუნების ბევრ ფაქტორთან. მთელი ეს მრავალსახეობა მეტყველებს ერთ რამეზე, სახელდობრ იმაზე, რომ ყოველ არსებაში (ორგანიზმში), ცოცხალი სხეულის ყოველ ნაწილაკში ყველაფერი მიმართულია ერთი და იმავესაკენ, ერთი „მიზნისაკენ“ — გადიდდეს ცოცხალი მასა, როგორც სიმბიოზური სახისა, მაგრამ არა ყოველი სახისა, არამედ მხოლოდ ისაა, რომელიც არის, რომელსაც ეკუთვნის მოცემული ორგანიზმი ან ცოცხალი სხეულის მოცემული ნაწილაკი. სწორედ ეს არის ის „მიზანშეწონილობა“, რომელიც თვალში გეცემათ ფორმალურს უბრალოდ უარყოფა არ შეიძლება. ყოველივე ეს ბიოლოგიური სახის სიცოცხლის ბუნებრივი კანონის მოქმედების შედეგია.

ეს კანონი წითელ ზოლად გასდევს ჩ. დარვინის ყველა შრომას. მაგრამ დარვინს არ ჰამოუყალიბებია იგი იმის გამო, რომ შეცდომით მან მიიღო მალთუსის რეაქციული კანონი შიდასახეობითი ბრძოლისახებულებობისა და აქედან გამომდინარე შიდასახეობითი კონკურენციის შესახებ. სინამდვილეში კი შიდასახეობითი ბრძოლა ბუნებაში არასოდეს არ ყოფილა და არ შეიძლება იყოს. ხოლო თუ ბუნებაში შიდასახეობითი ბრძოლა და კონკურენცია არ არის, მაშინ არც შიდასახეობითი ბრძოლა და კონკურენცია. მხოლოდ ერთმანეთში არ უნდა ავრიოთ **შიდასახეობითი ბრძოლა**, რომელიც, როგორც უკვე ვთქვით, ბუნებაში არ არის და არ შეიძლება იყოს, და **ბრძოლასახებულობა სხვადასხვა სახეთა ინდივიდუუმებით,** რაც ბუნებაში ყოველთვის არსებობს. ბრძოლასა სახეთა ინდივიდუუმებით, განსაკუთრებით მახლობელ სახეთა ინდივიდუუმებით ბრძოლასახებულობა, მართლაც, როგორც წესი, ქმნის სახეთაშორის ბრძოლასა და კონკურენციას. მაგრამ სხვადასხვა სახეთა ინდივიდუუმების ურთიერთკავშირი არა ბრძოლა, კონკურენციელი, ანტაგონისტური არის ხოლმე, არამედ სიმბიოზურიც, ავრეთვე შეფარდებით ნეიტრალური (მაგალითად, მეცნიერთა და ხორცის მჭამელ ცხოველთა ურთიერთკავშირი).

ყველა პროგრესული მეცნიერი, მათ შორის ბიოლოგებიც, ეთანხმება მალთუსის მიერ შეთხზული რეაქციული კანონის უარყოფას ადამიანთა საზოგადოებასთან შეფარდებით. მაგრამ ბევრისათვის გაუგებარია, რატომ უარყოფენ მალთუსის კანონს შიდასახეობითი ბრძოლის შესახებ ბუნებაში. მე მგონია, მათს ყურს კიდევაც ეხამუშება ჩვენი მტკიცება იმის შესახებ, რომ ბუნებაში არ არის და არ შეიძლება იყოს შიდასახეობითი ბრძოლა, რომელიც იწვევს შიდასახეობითს კონკურენციას სიცოცხლის პირობებისათვის.

ისინი ამტკიცებენ, რომ ბუნებაში არსებობს შიდასახეობითი ბრძოლასახებულობა, აქედან წარმოდგება მისი შედეგიც — შიდასახეობითი ბრძოლა და კონკურენცია, რომ ეს მალთუსის რეაქციული მიზნებით შეთხზული კანონი კი არ არის, არამედ თითქოს ყველასთვის ცხადი ბუნებრივი მოვლენაა. მათი აზრით მალთუსი და მალთუსიანელები მართალი არ არიან მხოლოდ იმაში, რომ ამ ბიოლოგიურ კანონს რეაქციული მიზნებით აერეკლებენ საზოგადოებრივ მოვლენებზე. ბიოლოგიური კანონები მხოლოდ ბიოლოგიურ მოვლენებს რომ ახასიათებს და სოციალურ მოვლენებს არ ახასიათებს, — ეს, რა თქმა უნდა, მართალია. **მაგრამ მალთუსის კანონი არ არსებობს არც მცენარეთა, არც ცხოველთა სამყაროში. ის კანონი კი არ არის, არამედ რეაქციული გამონაგონია.**

შიდასახეობითი ბრძოლასახებულობის არსებობის დასამტკიცებლად ჩვეულებრივად მოჰყავთ მაგალითები ტყის სიცოცხლიდან. ლეხედთ თუნდაც ეს ტყე არყისნის ტყესო, ამბობენ. მასში ათასობით ზრდადამთავრებული არყისხეა, თვითეულ. ხეზე ასეთი ათასობით თესლია. ყველა ეს ძალიონობით სიცოცხლისუნარიანი თესლი მათი დამახასიათებელი აუცილებლობის გამო უნდა ცოცხლობდეს, ესე იგი იძულებულ აღმოხაცენს და შემდგომ ვითარდებოდეს ზრდადამთავრებულ ხეებად, ამ ტყეში კი მხოლოდ რამდენიმე ერთ-ორაქტარიანი მდელოა, რომლებიც არყისნის ტყეს არ უპირავს. ვისთვის არ არის ცხადი, რომ თუ ამ მდელოებს არყისხე დაიკავებს, მათს ტერიტორიაზე მხოლოდ რამდენიმე ასეული ზრდადამთავრებული ხე მოთავსდება. მაშასადამე, ყველასთვის ადგილი (ეს ნიშნავს სიცოცხლის პირობები) არ იკმარებს. ხოლო ვინაიდან არყისნის თვითეული ჩანასახი ისწრაფვის იცოცხლოს, აქედან თითქოს გარდუვალია ბრძოლა, კონკურენცია არყისნის ინდივიდუუმებს შორის.

ასეთი პასუხი კითხვაზე თავისთავად იბადება. სწორედ ეს არის შიდასახეობითი კონკურენცია, რომელიც შიდასახეობითი ბრძოლასახებულობის შედეგია. ინდივიდუუმები იმდენად ბევრი იბადება, რომ სიცოცხლის პირობები ყველას არ ჰყოფნის და არ შეიძლება ეყოს. კონკურენციულ ბრძოლაში ძლევენ მხოლოდ უძლიერესნი, უფრო შეგუებულნი; სხვები კი, უფრო სუსტები, იმავე სახეობის თავიანთ უფრო შეგუებულ თანამოძმეებთან ბრძოლაში იღუპებიან.

აი ასეთი მსჯელობას, რომელიც მოვლენის მხოლოდ ზედაპირს ეხება და სრულებით ვერ ხსნის მის არსს, აპრიორი მიჰყავს ბევრნი, მათ შორის ბიოლოგებიც, აღნიშნულ დასკვნებამდე, რომლებიც თითქოს შეესაბამება სინამდვილეს.

მაგრამ ვინც ამგვარად მსჯელობს, მას შეიძლება შეეკითხოთ. აი თქვენ ამბობთ, რომ არყისნის ყველა ჩანასახისთვის მდელოზე ადგილი არ იკმარებს; მაგრამ თუ ამ ტყეში მილიონობით თესლი კი არ იბადება, არამედ მხოლოდ ერთი თესლი, ერთი ჩანასახი იბადება, მაშინ მისთვის მდელოზე ადგილი (სიცოცხლის პირობები) აღმოჩნდება თუ არ აღმოჩნდება? ნუ დაგავიწყდებათ, რომ არყისნისაგან თავისუფალი მდელო ბუნებაში ყოველთვის დაკავებულია ხოლმე ბალახმცენარეულობით, რომელიც ქმნის კორდს. ხოლო კორდი ტყის ხეების მთავარი მტერია. მაშასადამე, მდელოზე თავისუფალი ადგილი (სიცოცხლის პირობები) არ არის არყისნის ტყეს მარტო მილიონობით ჩანასახისათვის, არამედ ერთი ეგზემპლარისთვისაც. აი რა პასუხის გაცემა დაგჭირდათ პოეტემ ამ კითხვაზე. სცადეთ მისი უარყოფა! მხოლოდ იმიტომ, რომ არყისნის თესლი მილიონობით არის, აღნიშნულ მდელოს სწორედ არყისნის ტყე დაიკავებს. არყისნის ერთეული აღმოხაცენები კი ბალახმცენარეულობას ვერ დაძლევენ და დაიღუპებიან, ხოლო ასეული ათასობით და მილიონობით აღმონაცენი დაძლევს, განდევნის მას, და ყოფილ მდელოზე არყისნის ტყე გაიზრდება. სწორედ ეს არის სახეთშორისი ბრძოლა და კონკურენცია

აქ შეიძლება გვიპასუხონ: შემდეგ კი, როცა არყის ნორჩი ხეები წამოიზრდებიან, ისინი უკვე სივიწროვეში იქნებიან; სწორედ მაშინ დაიწყება შიდასახეობითი კონკურენცია: უფრო ძლიერნი ჩაახშობენ უფრო სუსტებს. მაშასადამე, სახეთშორისი კონკურენციაც არის და შიდასახეობითიც. და ყოველივე ეს, დასძენენ პასუხის გამცემნი, შედგება ჯარბდასახლებულობისა როგორც სხვადასხვა სახეთა ინდივიდუუმებით. ისე ერთი და იმავე სახის ინდივიდუუმებით. არა, ეს ასე არ არის. ჩვენ უკვე განვმარტეთ ემის ბიოლოგიური აზრი, რომ არყისხეს ბუნებაში მოეკალი ათასეული მეტი თესლი აქვს, ვიდრე იმ ზრდადამთავრებული ხეების რიცხვია, რომლებიც ყოფილ მდელოზე მოთავსდა. ეს რომ არ იყოს, ბალახმცენარეულობა, და არა მარტო ბალახმცენარეულობა, არ დაეშვებდა, რომ ეს მდელო არყისხეს დაეკავებინა. ბერი ანალოგიური მაგალითის ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ ორგანულ ბუნებაში არსებობს და მოქმედებს ბიოლოგიური სახის სიცოცხლის კანონი. ამ კანონის მოქმედებიდან გამომდინარეობს როგორც ის, რომ ბუნებაში არ არსებობს შიდასახეობითი კონკურენცია, ისე ის, რომ ეფექტლად არსებობს სახეთშორისი ბრძოლა, კონკურენცია და სიმბიოზი.

მთელი ორგანული სამყარო ხომ ბიოლოგიურ სახეთაგან, ერთეულთაგან, ესე იგი სპეციფიკურ თვისებრივ ცალკეულობათაგან შედგება. ყველა ეს ბიოლოგიური სახეობანი ცოცხლობენ სახის სიცოცხლის ერთიანი კანონით. ვინც თვალყურს ადევნებს ამა თუ იმ ბიოლოგიური სახის სიცოცხლეს, მას თვალში ეცემა ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობა. ეგი, როგორც უკვე აღვნიშნავდით, თავს იჩენს ორგანიზმის აღნაგობაშიც, მის ფიზიოლოგიურ პროცესებშიც, უკლებლივ ყველაფერში, რაც კი დაკავშირებულია ამ სახის ინდივიდუუმთა სიცოცხლესთან. სწორედ ეს ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობაა ბიოლოგიური სახის სიცოცხლისა და განვითარების კანონის მოქმედების შედეგი. მაგრამ ვინაიდან ორგანული სამყარო ბიოლოგიურ ცალკეულობათაგან, ერთეულთაგან, ესე იგი სახეთაგან შედგება, ბიოლოგიური სახის სიცოცხლის ამავე კანონის მოქმედებიდან უცილობლად გამომდინარეობს საწინააღმდეგოც, სახელდობრ ის, რომ მთელი ორგანული სამყაროს როგორც წინააღმდეგობრივი ერთიანი მთელის აღსაგბასა და სიცოცხლეში ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობა არ არსებობს. მაგალითად, ბალახის მჭამელ ცხოველთათვის მიზანშეწონილია, სასარგებლოა მათი დაცვა ხორცის მჭამელთა თავდასხმისაგან, მაგრამ რა სარგებლობაა ამ „მიზანშეწონილობისგან“ ხორცის მჭამელ ცხოველთათვის? მთელი ორგანული სამყარო ურთიერთდაკავშირებულია არა მარტო არაორგანულ ბუნებასთან, არამედ თავის შიგნითაც. ბიოლოგიური სახეები „ურთიერთდაკავშირებული არიან ერთმანეთთან, თვითეული მათგანი მეტნაკლებად ცოცხლობს სხვა სახეთა ხარჯზე, მათ საზიანოდ. და ამავე დროს თვითეული მოცემული ბიოლოგიური სახის არსებობა სასარგებლოა, აუცილებელია ზოგიერთი სხვა სახისათვის.

ასეთია საქმის ვითარება იმ „ფაქტების“ მხრივ, რომლებიც მოწმობენ, რომ ბუნებაში ბევრი იბადება, ხოლო ცოტა ძლებს. შემოწმებით კი გამოდის, რომ ბუნებაში არც ბევრი იბადება, არც ცოტა ძლებს.

გარდა ამისა, რაც უფრო მეტი იბადება მოცემული სახის ინდივიდუუმები, არაიშვიათად მით უფრო მეტი ინდივიდუუმი (პროცენტულად) ძლებს სხვა სახეობათა განდევნის ხარჯზე. ამაში მდგომარეობს ბიოლოგიურ სახეთა სიცოცხლის აყვავება და კრება.

**ბუნებაში და სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში ყველა ორგანული ფორმა შექმნილია და იქმნება ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის კანონით, რომელიც დარვინმა აღმოაჩინა.** ბიოლოგთა უმრავლესობისათვის ეს უდავოა. მაგრამ ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევის კანონი სხვადასხვა ბიოლოგებს სხვადასხვანაირად ესმით: ვაისანანსტური მიმართულების ბიოლოგებს — ერთნაირად, მიჩურინული მიმართულების ბიოლოგებს — მეორენაირად. ჩვენ, ბიოლოგიაში მიჩურინული მიმართულების სამი ეგზემპლარი ვართ, ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევა ჩვენსმა როგორც სამი ეგზემპლარად დაკავშირებული ფაქტორი: მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა და გამძლეობა. ამ სამი განუყოფელად დაკავშირებული ფაქტორიდან თვითეულის სულ უფრო და უფრო ღრმად შეცნობა ნიშნავს შესაძლებლობას გვაძლევს სულ უფრო და უფრო ღრმად შევიცნოთ დარვინის მიერ აღმოჩენილი კანონი ბუნებრივი და ხელოვნური შერჩევისა.

უკვე არაერთხელ თქმულა, რომ ორგანული სამყაროს აგებულებაში არავითარი მიზანშეწონილობა არ არის, რომ ორგანული სამყარო ბიოლოგიური სახეებისაგან შედგება და თვითეული სახე ცოცხლობს არა რაღაც მიზანშეწონილობის თანახმად, არამედ ბიოლოგიურ სახეთა სიცოცხლის ერთი და იმავე კანონის თანახმად. ამავე დროს ნათქვამი იყო, რომ ყოველი ბიოლოგიური სახის სიცოცხლის შესწავლისას ყურადღებას იქცევს ორგანული ტელეოლოგია, ესე იგი მიზანშეწონილობა. ამიტომ არ შეიძლება ბიოლოგიურ მეცნიერებამ ასე იოლად უარყოს ან დაივიწყოს იგი. მიზანშეწონილობის უბრალო უკუგდება იქნება უარყოფა დარვინიზმის როგორც ორგანული სამყაროს განვითარების თეორიის არსისა, რასაც, რა თქმა უნდა, ვერ ჩაიდენს ვერავინ, ვისაც ესმის მეცნიერება, თეორია. ხოლო ორგანული სამყაროს მიზანშეწონილობის ჭიღება ავრეთვე არ შეიძლება, იმიტომ რომ ეს ეწინააღმდეგება განვითარების საერთო მატერიალისტურ თეორიასაც, ესე იგი დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებებს, და მოავალ ფაქტსაც, რომლებსაც ცოცხალ ბუნებაში ვხედავთ, მაგალითად, სახეთშორისი ურთიერთკავშირის ყველა ფაქტს.

სახეთა სიცოცხლის აღმოჩენილი და მეცნიერულად ფორმულირებული ბიოლოგიური კანონი, ჩვენ ეფექრობთ, კარგად წყვეტს ამ ლოგიკურ წინააღმდეგობას. ამ კანონის მოქმედებით განპირობებულია ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობა სახის შიგნით და ეგრეთწოდებული მიზანშეწონილობა სახეთშორის ურთიერთკავშირში. მაგრამ ეს ეგრეთწოდებული „მიზანშეწონილობა“ და „მიზანშეწონილობა“ მთლიანად ორგანული სამყაროს აგებულებასა და სიცოცხლეში იმას მოწმობენ, რომ ბუნებაში არ არის არც მიზანშეწონილობა და არც ქაოსი, ესე იგი მიზანშეუწონლობა. ეს ცნებები არ შეესაბამება ცოცხალი ბუნების მოვლენებს. თუ ბიოლოგიურ მეცნიერებაში ეცნობთ, მაგალითად, მიზანშეწონილობას ბიოლოგიური ხასიათის აგებულებასა და სიცოცხლეში, რაც თვალში გვეცემა, მაშინ ყოველ კონკრეტულ მიზანშეწონილობაში უნდა ვცნოთ მიზანშეუწონლობაც სხვა სახეთა მიმართ. ეცნოთ შიდასახეობითი მიზანშეწონილობა — ეს ნიშნავს ეცნოთ, რომ ბიოლოგიურ სახეებს აქვთ შეგნება, ნებისყოფა, ტრომლისოდაც არ შეიძლება იყოს მიზანშეწონილობის ცნება. სახის აგებულება და სიცოცხლე, როგორც უკვე ითქვა, განპირობებულია არა რაღაც ჭიზნით თუ მიზანშეწონილობით, არამედ სახის სიცოცხლის ბუნებრივი კანონით.

მაგრამ იქნებ აქ უბრალოდ ვეცალით ერთ სიტყვას სხვა სიტყვებით; სიტყვა „მიზანშეწონილობას“ — სიტყვებით „ბიოლოგიურ სახეთა სიცოცხლის კანონი“, ხოლო ცოცხალი ბუნების მოვლენათა არსს გაგება ერთი და იგივე რჩება? არა, აქ საქმე სწორედ არსის უფრო სწორ გაგებაშია, და არა სიტყვების შეცვლაში. ბიოლოგიური მეცნიერების ამოცანა ის არის, რომ აღმოაჩინოს და სწორად განმარტოს, ე. ი. ჩამოაყალიბოს ბიოლოგიური კანონები, ორგანული სამყაროს სიცოცხლისა და განვითარების კანონები. ბიოლოგიური კანონების, ესე იგი მარტობელი, მეცნარეული და ცხოველური ორგანიზმების სიცოცხლისა და განვითარების კანონების ცოდნა მეტად დიდმნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. პრაქტიკის, ცხოვრების მოთხოვნილებებმა ჩვენ, მიჩურინული მიმართულების სასოფლო-სამეურნეო ბიოლოგიის მუშაკებს, უფრო სწორად გაგვაგებინა ორგანული სამყაროს განვითარება, ვიდრე ეს დღემდე იყო ეგრეთწოდებული კლასიკური, ესე იგი ვაისმანისტური მიმართულების ბიოლოგიაში.

ბიოლოგიური სახის სიცოცხლის კანონი აღმოჩენილი და ფორმულირებულია სოფლის მეურნეობის პრაქტიკისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის პროცესში. და თუ ეს ბუნების კანონი კი არ არის, არამედ ბუნებრივი მიზანშეწონილობაა, მაშინ ძნელი კასაგბია, რა გზით შეიქმნა და იქმნება პრაქტიკაში, მაგალითად, ქათმის ჯიშები, რომლებსაც შეუძლიათ კვერცხებზე დაკაჟოფერებელ კვერცხებს დებდნენ. ვისთვის არის ეს მიზანშეწონილობა? ყოველ შემთხვევაში ბიოლოგიური მიზანშეწონილობა აქ არ არის. ამავე ჯიშების ქათმებს არც დედობრივი ინსტინქტის მემკვიდრეობითი თვისებები აქვთ, არ შეუძლიათ კვერცხებზე ჯდომა და წიწილების გამოჩეკა. რა სახეობითი მიზნისთვის არის დაკარგული ეს მემკვიდრეობითი ბიოლოგიური თვისებები? აქ ისევ არ არის ბიოლოგიური მიზანშეწონილობა. ან ავიღოთ, მაგალითად, მსხლის ეთესული ჯიშები.

შეიძლება მოვიყვანოთ ბევრი მაგალითი სოფლის მეურნეობის პრაქტიკიდან, რომლებიც ბუნებრივ მიზანშეწონილობას უარყოფენ. მცენარეთა და ცხოველთა კულტურული ჯიშები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ შექმნა, თავიანთი თვისებებით შეესაბამებიან ადამიანთა მოთხოვნილების მიზანშეწონილ დაკმაყოფილებას. მაგრამ ასეთი მიზანშეწონილობა არ არის ბიოლოგიური მიზანშეწონილობა, თუმცა მცენარეთა და ცხოველთა კულტურული ჯიშები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ შექმნა, თავიანთი თვისებებით შეესაბამებიან ადამიანთა მოთხოვნილების მიზანშეწონილ დაკმაყოფილებას. მაგრამ ასეთი მიზანშეწონილობა არ არის ბიოლოგიური მიზანშეწონილობა, თუმცა მცენარეთა და ცხოველთა კულტურული ჯიშები ბიოლოგიურ სახეებად რჩებიან. ადამიანები მცენარეთა და ცხოველთა ასეთ ჯიშებს თავიანთი მიზნებისათვის ქმნიან. მაგრამ სოფლის მეურნეობის პრაქტიკამ იმაზე ზრუნვაც იკისრა, რომ შენარჩუნებულ იქნას გარკვეული რაოდენობა ამ ბიოლოგიურ სახეთა ინდივიდებისა, რომლებიც საჭიროა ადამიანებისათვის.

ბიოლოგიური თეორია, რომელიც ცნობს მიზანშეწონილობას ორგანულ ბუნებაში, არ შეიძლება სახელმძღვანელო იყოს პრაქტიკისათვის, მცენარეთა და ცხოველთა საჭირო ჯიშების მიღებისათვის. უფრო მეტიც, მცენარეთა და ცხოველთა კულტურულ ჯიშებში ბიოლოგიურ მიზანშეწონილობას რომ ვერ პოულობს, ასეთი თეორია აიძულებს ბიოლოგებს მიიჩნიონ ეს ჯიშები ბიოლოგიურ სიმახინჯეებად ან საერთოდ არ ჩათვალონ ისინი ბიოლოგიურ სახეებად. სახის სიცოცხლის კანონი როგორც ველურ, ისე კულტურულ სახეთა სიცოცხლის ყველა მოვლენას მოიცავს.

სახის სიცოცხლის კანონს ექვემდებარება ორგანიზმთა მემკვიდრეობითი თვისებების გამოვლინებებიც. მაგალითად. შიდასახეობითი შეჯვარებისას, როცა ერთ ნარევ ორგანიზმში შეთავსებულია მემკვიდრეობითი თვისებებით სხვადასხვა ორი გენოტიპი, განვითარება მიმდინარეობს არსებულ მემკვიდრეობით თვისებათაგან იმ თვისებათა ხაზით, რომლებიც მოცემულ კონკრეტულ პირობებში ყველაზე უკეთ უზრუნველყოფენ მოცემული სახის ინდივიდუუმთა ცოცხალი მასის, რიცხვის გადიდებას.

მეცნიერთა და ცხოველთა ინდივიდუალური სიცოცხლის არსი შდგომარეობს მათი დამახასიათებელი (ეს კი ნიშნავს მემკვიდრეობითი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში, ხოლო მიკრობული, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება არის სწორედ მათი ინდივიდუალური განვითარება. ჩასახვით დაწყებული და ბუნებრივი სიბერითა და სიკვდილით დამთავრებული.

თვითეული მცენარეული და ცხოველური ორგანიზმი ბიოლოგიური სახის არსებობის ერთ-ერთი ფორმაა. ბიოლოგიური სახე და ინდივიდუუმი განუყოფელია. სწორედ ამიტომ ორგანულ სამყაროში ინდივიდუუმებისა და ბიოლოგიური სახის სიცოცხლე განუყოფელია და სახის სიცოცხლის კანონით მომდინარეობს.

სისტემატიკასა და სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკაში ინდივიდუუმებს მცენარეთა ნაირსახეობებად და ჯიშებად, ცხოველთა ჯიშებად, მიკროორგანიზმთა შტამებად და რასებად აჯგუფებენ, ბიოლოგიური სახეები კი მცენარეთა ქვესახეობებისა თუ ნაირსახეობებისაგან, ჯიშებისაგან ან ცხოველთა ქვესახეობებისა და ჯიშებისაგან არ შედგებიან. თვითეულ ინდივიდუუმს პოტენციაში მრავალფეროვნება ახასიათებს, და, როგორც უნდა განსხვავდებოდნენ ინდივიდუუმები ერთმანეთისაგან, ისინი ყველანი ერთი და იმავე ბიოლოგიური სახის სხვადასხვა ფორმები არიან.

## ორგანული ფორმების შეგუება (ადაპტაცია)

არც ერთ ბიოლოგს არ ეგადება ეკვი იმაში, რომ ორგანული ფორმები ეგუება (ეხამება, მეესაბამება) მათი სიცოცხლის პირობებს, გარემოს პირობებს, რომლებშიც და რომლებიდანაც ისინი წარმოშობნენ, ჩამოყალიბდნენ. მაგრამ როგორ გამოდის ეს შეგუებულობა? ლამარკისტული მიმართულების ბიოლოგებს მიაჩნდათ და მიაჩნიათ, რომ ორგანულ ფორმებს ახასიათებს შეგუების, ესე იგი ადაპტაციის თვისება. სწორედ ამიტომ ორგანული ფორმები საბოლოო ანგარიშით შეფარდებით შეგუებული გამოდის. ზოგიერთი მეცნიერი მეშაკები, რომლებიც არ იცნობენ 

საერთაშორისო დეკალური ხელოვნური ფილოსოფია
ყველა ერის

# უთანხმოება ნატოში

**დასავლეთის** გაზეთების უმრავლესობა დღეს აჭრელებულია მყვირალა სათაურებით, რომლებიც გამოხატავენ წინააღმდეგობათა გამწვავებას ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკში. პრესა ფართოდ აშუქებს ბრიუსელში განახლებულ მოლაპარაკებას „საერთო ბაზრთან“ ინგლისის შეერრების შესახებ. „სიცოცხლე ან სიკვდილი ბრიუსელში“, — ასე ახასიათებს გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ მოლაპარაკებაზე შექმნილ მდგომარეობას. ლონდონის „ტაიმსი“, არც ისე დრამატული ტონით, მაგრამ წერს, რომ გუშინ ბრიუსელში ერთ-ერთი ყველაზე დაძაბული დღე იყო. „საფრანგეთსა და მის მოკავშირეებს შორის შექმნილ კრიზისს“ აღნიშნავს საფრანგეთის გაზეთი „კომბა“. ხაზს უსვამს რა, რომ უცვლელია საფრანგეთის წარმომადგენელთა პოზიცია, დასავლეთ გერმანიის გაზეთი „დი ველტი“ წერს, რომ გრძელდება „ბონის შუამავლობა“.

### უცხოეთის პრესის მიმოხილვა

დღევანდელი გაზეთების გამონათქვამების მიხედვით, ვაშინგტონი აძლიერებს ზეგავლენას თავის პარტნიორებზე სამხედრო ბლოკებში. „ვაშინგტონ პოსტ ენდ ტაიმს ჰერალდი“ ციტირებს ციტატებს სენატორთა ჯგუფის მოხსენებიდან, რომლებიც მოითხოვენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხარჯების გადიდებას სამხედრო საჭიროებებისათვის. მეორე სტატიაში იგივე გაზეთი აცხადებს, რომ ამერიკის დასავლეთევროპელმა მოკავშირეებმა ნატოში მონაწილეობა უნდა მიიღონ „პოლარისის“ რაკეტების სრულყოფასთან. დაკავშირებულ ხარჯებში. ეხება რა ამ მოთხოვნებს, ინგლისის გაზეთი „დეილი ექსპრესი“ წერს, რომ ინგლისმა ამ მიზნით უნდა დახარჯოს მილიონობით გირვანქა სტერლინგი.

იაპონიის პრესა გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფებებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ იაპონიამ უფლება მისცეს ამერიკის ატომურ წყალქვეშა ნავებს თავისუფლად შეივიდნენ იაპონიის ნავსადგურებში. გაზეთი „ნიხონ კეიძაი“ აღნიშნავს, რომ ამერიკის ზეგავლენა იაპონიაზე გამოხატულებას პოულობს ეკონომიურ დარგშიც.

საზღვარგარეთის დღევანდელი პრესის კომენტარების სხვა თემაა საფრანგეთის მმართველი წრეების ლაციცი ესპანეთის დიქტატორ ფრანკოსთან. ფრანგი ხალხის ზურგს უკან, წერს გაზეთი „ლიბერასიონი“, დე გოლი მადრიდში გზავნის სამ მინისტრსა და გენერალური შტაბის უფროსს. ამით იქმნება თავისებური ევროპია ტრიუმვირატი: ადენაუერი-დე გოლი-ფრანკო.

პოლონეთის გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ დე გოლს თავის ბრძოლაში საერთო ბაზრისა და დამოუკიდებელი ატომური ძალების გარშემო ფრანკო მიჩნია პოტენციურ მოკავშირედ, რა თქმა უნდა, ადენაუერის შემდეგ.

გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ გამოაქვეყნა სტატია „ხელშეკრულება ერის წინააღმდეგ“, რომელშიც წერს, რომ საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის კავშირი თავისი მახვილით მიმართულია გერმანელი და ფრანგი ხალხების წინააღმდეგ, ორივე ქვეყნის მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ.

ეგვიპტის პრესა ფართოდ აღნიშნავს ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ საბჭოთა კავშირ-ეგვიპტის შეთანხმების ხუთი წლისთავს. „იჯიპშენ გაზეტი“ ხაზს უსვამს, რომ შეთანხმება „დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის“ პროგრესისათვის.

ჩეხოსლოვაკიის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ პრეზიდენტ ა. ნოვოტნის მოგზაურობას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. ბულგარეთის პრესა წერს, რომ ბულგარეთის საწარმოებში იმრეგიან საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. სერბეთის სახალხო სკუპშტინის [illegible] 1963 წლის [illegible], რომელიც [illegible] ოთალისწინებს წარმოების [illegible] 10 [illegible] ...

საზღვარგარეთის პრესა ფართოდ აშუქებს უბედურებას, რაც გამოიწვიეს საცურვებმა ევროპაში. ქარბუქმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და იაპონიაში.

29 იანვარი. (საკადესი).

# მიესალმება გლეზოსი

**ათენი**, 30 იანვარი. (საკადესი). ოლიმპიურ ისტორიული გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით საბერძნეთის ეროვნულმა გმირმა მანოლის გლეზოსმა საკადესის კორესპონდენტს განუცხადა: „საბჭოთა არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მბრძოლი ბრძოლა და ისტორიული გამარჯვება ვოლგაზე სამუდამოდ დარჩება ყველა ხალხისა და ბერძენი ხალხის მეხსიერებაში ისევე, როგორც ეს ღრმად აღბეჭდილია ჩემს ხსოვნაში. ამ გამარჯვებით იყო შთაგონებული ეროვნული წინააღმდეგობის მოძრაობა ჰიტლერელთა მიერ ოკუპირებულ საბერძნეთში. მადლიერმა ბერძენმა ხალხმა შეთხზა სიმღერები, რომლებშიც ქება შეასხა ვოლგაზე ბრძოლასა და გამარჯვებას.

მახსენდება 1943 წლის ის ღირსსახსოვარი დღეები, როცა წინააღმდეგობის მოძრაობის სხვა ახალგაზრდა მებრძოლებთან ერთად ათენის გარეუბნებში ბერძენ ხალხს ვუამბობდი, თუ რა გმირულ ბრძოლას ეწეოდა საბჭოთა ხალხი.

დღეს მოგონებანი ვოლგოგრადის ეპოპეის შესახებ, სადაც კაცობრიობის გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ფაშიზმის წინააღმდეგ, მსოფლიოს ხალხებს შთაგონებენ, რომ კიდევ უფრო მტკიცედ იბრძოლონ მშვიდობის დასაცავად.

ვოლგაზე გამარჯვების ხსოვნით შთაგონებულნი, ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ხალხები გაიმარჯვებენ მშვიდობისათვის ბრძოლაში“.

# საბჭოთა არმიის გმირობა — შთაგონების წყარო

**დელი**, 30 იანვარი. (საკადესი). საკადესის კორესპონდენტთან ინტერვიუში ვოლგაზე ჰიტლერელთა ჯარების განადგურების 20 წლისთავთან დაკავშირებით, ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დ-რმა სარვაპალი რადჰაკრიშნანმა განაცხადა: „საბჭოთა ხალხი დღესასწაულობს სტალინგრადის ბრძოლის 20 წლისთავს. ამ ბრძოლის ისტორია, საბჭოთა არმიის, აგრეთვე სტალინგრადის უბრალო ქალებისა და კაცების გმირობა და სიმტკიცე, რითაც დაიცვა საბჭოთა ხალხმა თავისუფლება მოწინააღმდეგის მნიშვნელოვნად ჭარბი ძალებისაგან, ადამიანთა შთაგონების წყარო იქნება მუდამ.

ადამიანის რწმენა ფოლადზე ძლიერია, და შეუძლებელია დაამარცხოს ხალხი, რომელმაც მტკიცედ გადაწყვიტა დაიცვას თავისუფლება და თავისი ქვეყნის მთლიანობა.

მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად პატივს ვცემ სტალინგრადის გმირთა ხსოვნას. უდიდესი ვალი, რომელიც მსოფლიოს შეუძლია მოიხადოს მათი ხსოვნის წინაშე, იქნება მტკიცე გადაწყვეტილება განახორციელოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა, რათა არასოდეს აღარ შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომელსაც შეეწირება ესოდენ ბევრი უდანაშაულო ადამიანი“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ განაცხადა: „სტალინგრადის ბრძოლამ საბელი გაითქვა იმის შედეგად, რომ საბჭოთა ხალხმა უარყოფა გადაწყვიტა დაეცვა სტალინგრადი რადაც უნდა დაჯდომოდა.

ამრიგად, ეს ბრძოლა გახდა მობრუნების პუნქტი წარსულ დიდ ომში. მე ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ საბჭოთა ხალხს ამ ბრძოლის 20 წლისთავის დღესასწაულის გამო. ვიმედოვნებ, რომ მომავალში ომები კი არ იქნება, არამედ მტკიცედ დამყარდება მშვიდობა, რათა საშუალება მიეცეს ყოველ ქვეყანას მშვიდობიანად იცხოვროს სხვა ქვეყნებთან ერთად“.

# მოკავშირეთა დიპლომატიური ომი

**ლონდონი**, 28 იანვარი. (საკადესი). როგორც გაზეთ „სანდი ტაიმსის“ დიპლომატიური მიმომხილველი ლინკოლს კეროლი იუწყება, წინადადება, რომლითაც დე გოლმა მიმართა დანიას, რომ შეეცდეს ევროპის ეკონომიური გაერთიანების („საერთო ბაზარი“) წევრად, ლონდონში მიაჩნიათ საფრანგეთის პრეზიდენტის ახალ წინასწარ განზრახულ დარტყმად დიპლომატიურ ნერვების ომში, რომელსაც იგი აწარმოებს ინგლისს წინააღმდეგ.

საკადესის კომენტატორი ნ. ზნინოვიევა წერს:

„ცბიერი ალბიონი“ აშკარად უთმობს პირველობას პრეზიდენტ დე გოლს, რომელმაც თითქოს გადაწყვიტა ინგლისის წინააღმდეგ მიმართოს მისივე იარაღი — პრინცეპი „გათიშე და იბატონე“, რომელსაც ფართოდ იყენებს ინგლისი. ლონდონში ლაპარაკობენ საფრანგეთის პრეზიდენტის „ნერვების დიპლომატიურ ომზე“. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, იმავე „სანდი ტაიმსის“ ცნობით, აღშფოთებით განაცხადა, რომ დე გოლს უფლება არ ჰქონდა სეპარატულად მიემართა ასეთი წინადადებით დანიისათვის, რადგან ახალი წევრების მიღება „საერთო ბაზარში“ წარმოებს „ექვსეულის“ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით. „სანდი ტაიმსს“ ეს ნაბიჯი მიაჩნია იმის ახალ დადასტურებად, რომ დე გოლს გადაწყვეტილი აქვს გადაეღობოს ინგლისს ევროპაში შესასვლელი გზა.

დე გოლს ბევრი მიზეზი აქვს, რომ არ სურდეს ინგლისის შეერთება „საერთო ბაზართან“ და მათ შორის მთავარი გამომდინარეობს იქიდან, რომ გამწვავდა პოლიტიკური წინააღმდეგობანი თვით „ექვსეულში“. „პარიზ-ბონის ღერძის“ განმტკიცება, რომლის თვალსაჩინო გამოხატულებაა საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულების დადება „თანამშრომლობის“ შესახებ, „ექვსეულის“ დანარჩენი წევრების სულ უფრო მზარდ შეშფოთებას იწვევს. ამიტომ ისინი კეთილგანწყობით ეკიდებიან ინგლისის შეერთებას, მიაჩნიათ ეგი პოტენციურ მოკავშირედ. უკანასკნელ ხანს იტალია ტყუილად როდი მოითხოვს სულ უფრო ენერგიულად ინგლისის მიღებას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში. საფრანგეთს არ მოსწონს ის, რომ შესაძლებელია განხორციელდეს იტალიისა და ბენილუქსის ბლოკირება ინგლისთან „პარიზ-ბონის ღერძის“ საპირისპიროდ.

მდგომარეობას აღრმავებს ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აშკარა ზეგავლენას ახდენენ „საერთო ბაზრის“ ქვეყნებზე, დაჟინებით მოითხოვენ ინგლისის მიღებას ევროპის ეკონომიურ გაერთიანებაში იმ იმედით, რომ ეს ხელს შეუწყობს ამერიკის გავლენის გაძლიერებას ამ ქვეყნებზე. პრეზიდენტ კენედის სპეციალური წარმომადგენლის კ. გერტრიის სასწრაფო ვიზიტი ბრიუსელში, ლონდონში, მიაჩნიათ იმის ცდად, რომ ჩაფუშვისაგან იხსნან ინგლისის მოკავშირეობა „ექვსეულთან“. „მიიღეთ ინგლისი ან მთელი ევროპა დაკარგავს დიდმნიშვნელოვან სატარიფო შეღავათებს ამერიკის ბაზარზე“ — ასეთი გაფრთხილებით ჩავიდა გერტრი ბელგიის დედაქალაქში, აცხადებს დღეს გაზეთი „სანდი ექსპრესი“.

„ინგლისისა და ამერიკის საწინააღმდეგო ჯგუფები კონტინენტზე, წერს „სანდი ტელეგრაფი“, აცხადებენ, რომ ამერიკა იწყებს სავაჭრო ომს „ექვსეულის“ წინააღმდეგ.

იმაში, რომ დე გოლი წინააღმდეგია ინგლისის მიღებისა, გარკვეულ როლს ასრულებენ ეკონომიური ხასიათის მოსაზრებანიც. იგი გადაჭარით წინააღმდეგია, რომ ინგლისს მეინეჯოს შეღავათები მისი სოფლის მეურნეობისა და გაერთიანების ქვეყნებთან თანამშრომლობაში, რადგან მიაჩნია, რომ ეს ეწინააღმდეგება საფრანგეთის ინტერესებს.

მოლაპარაკებამ, რომელიც ხვალ განახლდება ბრიუსელში, პასუხი უნდა გასცეს კითხვაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს ამ დიპლომატიურ ომში დასავლეთ „მოკავშირეთა“ შორის.

„ერთგული“ მეგობრები.
ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

# ოპერა „მინდიას“ მოსმენა

**გაზეთ** „კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 1963 წლის ლენინური პრემიის მოსაპოვებლად მუსიკისა და საკონცერტო-საშემსრულებლო მოღვაწეობის და თეატრალური ხელოვნების დარგში საქართველოდან წარდგენილია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „მინდია“. ლენინურ პრემიაზე პერსონალურად წარდგენილი არიან ოპერის ავტორი — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ო. თაქთაქიშვილი, სპექტაკლის მთავარი დირიჟორი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი, ჩალხიას პარტიის შემსრულებელი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი პ. აბირანაშვილი, მინდიას პარტიის შემსრულებელი— საბჭოთა კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე.

ამ დღეებში მოეწყო ოპერა „მინდიას“ მოსმენა. სპექტაკლს ესწრებოდა ლენინური პრემიების კომიტეტის სპეციალური კომისია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ე. კაპი, რსფს რესპუბლიკის სახალხო მხატვარი ნ. უუკოვი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეები დირიჟორი ა. კოვალიოვი და რეჟისორი პ. ზლოტოგოროვი, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ რედაქტორის მოადგილე ი. პოპოვი.

# შემთხვევა ზღვაში

**გათენებული** არც იყო, როცა სოხუმიდან მომავალი სამგზავრო თბომავალი „კოლხიდა“ ფოთის სანაპიროს მოუახლოდა. ნისლი და 5-6-ბალიანი ქარი სულ უფრო აძნელებდა ხომალდის ზუსტ სვლას. შემდეგ ძლიერი თოვა დაიწყო და იქაურობა სულ დაიბურა.

შტურმანმა ორიენტაცია დაკარგა. მწყობრიდან გამოვიდა სანაპიროს მოხაზულობის მაჩვენებელი ხელსაწყო.

და აი ვახტზე დადგა ნავსადგურელთა სალოცმანთ კატარღა ლოცმანთა სამეულის ნ. ხიბიკოვის, ო. საბაშვილისა და ი. პაშენკოს შემადგენლობით. კატარღა სწრაფად გავიდა გემმისადგომიდან და კურსი მიითვალა ტანკერ ინიბატორისაკენ. აზვირთებული ტალღები კატარღას გადაბრუნებით ემუქრებოდნენ, მაგრამ უშიშრად მიიწევდა თბომაგალისაკენ. თბომავალთან მისასვლელობისას ლოცმანებმა უჩვეულო მამაცობა და მოსაზრებულობა გამოიჩინეს, სწრაფად აღუდგინეს თბომავალს დაკარგული ორიენტაცია და სამშვიდობოზე გამოიყვანეს.

კ. კომახიძე.



# ტელეგრამა გვატყობინებს

☐ **როგორც** პრესის ცნობებიდან ჩანს, გასულ კვირაში ორასზე მეტი კაცი გადასახლდა დასავლეთ გერმანიიდან დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

☐ **იაპონიის** ნიიგატას ნავსადგურიდან გავიდა საბჭოთა სამგზავრო გემი „ნორილსკი“, გემზე 288 კორეელი მოქალაქე, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს დაბრუნდნენ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ორ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაბრუნდა 78.760 კაცი.

☐ **ნიპარაბუას** ერთ-ერთ სოფელში 130 წლის ასაკში გარდაიცვალა ამერიკის კონტინენტის უხუცესი ქალი ფრანციტა მარტინესი. ნეპალის დედაქალაქ კატმანდუში გარდაიცვალა 137 წლის ბაბა შეოპური. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ფიქრობენ, რომ იგი იყო ჰიმალაიში უხუცესი მამაკაცი.

☐ **საიგონის** ერთ-ერთ საპატიმროში დაახლოებით სამმა ათასმა პოლიტიკურმა პატიმარმა გამოაცხადა სამდღიანი შიმშილობა. პატიმრებმა პროტესტი გამოთქვეს არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ და მოითხოვენ ნებართვას, რომ ინახულონ ნათესავებმა. საპატიმროს რაიონში ნგო დინ დიემმა გაგზავნა დიდი შეიარაღებული რაზმები.

☐ **ირანელმა** ხელისუფლებმა თეირანის გარეუბნაში აღმოაჩინეს ფარული ოპიუმის ფაბრიკა. 300 კილოგრამზე მეტი ეს ნარკოტიკი პოლიციამ აღმოაჩინა სახლის გაჩხრეკის დროს, სადაც გარკვეული პირები ეწეოდნენ ოპიუმის დამზადებასა და ფარულ გაყიდვას. (საკადესი).

# ვინ ქმნის დაბრკოლებებს?

**ნიუ-იორკი**, 29 იანვარი. (საკადესი). ქალაქ იორკის (პენსილვანიის შტატი) გაზეთი „გაზეტ ენდ დეილი“, რომელიც აკეცავს ხმაურიან პროპაგანდისტულ კამპანიას „მზარდი საბჭოთა სამხედრო ძლიერების შესახებ კუბაში“, სარედაქციო სტატიაში „ვინა ქმნის დაბრკოლებებს“ წერს: „შეერთებული შტატების უმაღლეს სფეროებში არიან ადამიანები, რომლებსაც პანიკა იპყრობთ ყოველთვის, როცა მოლაპარაკება მშვიდობის განმტკიცების შესახებ წარმატებით ვითარდება. ჩვენი აზრით ისინი ეძებენ საბაბს, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ომი და შეცვალოს მოვლენათა მიმდინარეობა, კოზგრესშიც და პენტაგონშიც ათას ძლიერი ტენდენცია კვლავ განაგრძონ ატომური იარაღის გამოცდა და საერთოდ არ ცნონ საბჭოთის არავითარი დათმობანი ინსპექციის საკითხებში“. გაზეთი აღნიშნავს, რომ სენატორები, რომლებმაც ახლანდელი აუტბაური ატეხეს, აშკარად დაკავშირებული არიან სამხედრო უწყებასთან.

ამერიკის პრესის ამოცანა, დასაკვნის ბოლოს „გაზეტ ენდ დეილი“, ახლა ის კი არ არის, რომ ხალხს თავს მოახვიონ ცნობები, რომლებიც მას სასტიკი და მეორული პოლიტიკის მხარდაჭერისაკენ უბიძგებენ, არამედ ის, რომ აჩვენონ „ვინ იმალება მშვიდობიან შეთანხმებათა მთელი სერიის ჩაშლის კულისებს უკან, ვინ ცდილობს ყოველთვის გააღვიოს ამ ქვეყანაში (ესე იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში, — კორ. შენიშვნა) სიძულვილისა და ომის სულისკვეთება?“

# ბოლო „ერთგული“ ბეგობრები

**დე გოლს** განზრახული აქვს მიიღოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისაგან ფინანსური სახსრები, რაც მას ესაჭიროება ატომური შეიარაღებისათვის. თავის მხრივ ადენაუერს იმედი აქვს მიიღოს ამ გზით ატომური იარაღი, რათა მისი დახმარებით დააჩქაროს რევანშისა და აგრესიის თავისი გაკოტრებული პოლიტიკის განხორციელება.

(გაზეთებიდან)

# ბრეზნევი ბულგარეთში

**ბულგარეთის** კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ლ. ბრეზნევის ბულგარეთში ჩამოსვლის ამბავი ფართოდ აშუქებს ბულგარეთის პრესა. „ბულგარია“ წერს, რომ ბულგარეთის საწარმოებში იმრეგიან საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის. სერბეთის სახალხო სკუპშტინის [illegible] 1963 წლის [illegible] [illegible] ...

# ...

# ...

#